# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 3 აგვისტო 2007 №177 (3100) ფასი 50 თეთრი

# NICHTЭნშტაინი




## ვადუ ციც ევროპისგან!



დუშან უჰრინი და მისი გუნდი უეფას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე არიან

## დინამომ ერთი გაიარა და დღეს მეორეს ელის





ორესტ ლენჩიკი გიორგი ჩიხრაძის გუნდმა გააოგნა

## უნახავი სანახაობა

### იღბალი ბელხატუვში დარჩა

## და მაინც: გმადლობთ!



# უეფას თასი 2007-2008

## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი



# დინამომ საქართველო ევროპას შეუნარჩუნა

ვადუცი. 2 აგვისტო. 21:30 საათი. რაინერპარკშტადიონი

**ვადუცი 0:0 დინამო (0:2)**

| | |
|---|---|
| ვადუცი: სომერი, რიიბერგერი, რაინმანი, ჩერონე, აკდემირი (პოლვერინო 57), ვიცორეკი, მაჯეტი, სუტერი, შტურმი, გროსკლაუსი, გასპარი (რორერი 90) | დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გ. კაშია, ფეიქრიშვილი (ოდიკაძე 75), დილმელაშვილი (ხუციშვილი 89), ხმალაძე, კობახიძე, გ. მერებაშვილი, აკირემი (სპასოევიჩი 90) |
| მწვრთნელი: ჰაინც ჰერმანი | მწვრთნელი: დუშან უჰრინი |

გაფრთხილება: დილმელაშვილი (89)

მსაჯები: ა. მუცემილოვიჩ-სიმუნოვიჩი; ტ. სეტკა, პ. ბოროვეცი; დ. კოვაჩიჩი (ყველა ხორვატია)

უეფას დელეგატი: ე. პალსი (ფინეთი)

თბილისის „დინამო" ლიხტენშტაინს ორბურთიანი ჰანდიკაპით ეწვია, მაგრამ მოდუნების უფლება არ ჰქონდა — თბილისურ ფორას შენარჩუნება სჭირდებოდა და ასეც მოხდა. „დინამომ" მატჩი სასურველი შედეგით დაასრულა და ერთადერთი ქართული გუნდია, ევროტურნირებს რომ შემორჩა.

„დინამოს" სანერვიულოდ საქმე თითქმის არც გაუხდია. მართალია, საგოლე მომენტები საქართველოს ვიცე-ჩემპიონის კართანაც შეიქმნა, მაგრამ მთლიანობაში მატჩის შედეგი ლოგიკური იყო.

„ვადუცმა" საწყის წუთებშივე სცადა გოლის გატანა და ქართველებს შეუტია, მაგრამ მე-11 წუთზე „დინამოს" კონტრშეტევა გაეპარათ და სომერმა კარი იხსნა.

ამ მომენტმა „დინამოც" დაამშვიდა და „ვადუციც" შეაშინა, თამაშმა ძირითადად მოედნის ცენტრში გადაინაცვლა, 38-ე წუთზე კი „დინამოც" გადარჩა — გასპარის დარტყმული სანტიმეტრებით ასცდა კარს.

გასპარს თბილისურ მატჩში არ უთამაშია, ხოლო შვეიცარიის ჩელენჯლიგაში მოთამაშე გუნდის ლიდერი კი გახლავს — ვადუცელთა სამი გოლიდან ორი მის ანგარიშზეა, მაგრამ ამ მატჩში მეტი მომენტი მას აღარ შექმნია. ამ შეტევის გარდა „ვადუცმა" კიდევ ორჯერ დაარტყა სახიფათოდ — აკდემირისა და შტურმის შორეული გასროლები დიდიე ოვონომ კუთხურზე უკუაგდო.

დინამოელთაგან გოლის გატანა გიორგი ფეიქრიშვილსა და ჟორჟ აკირემის მართებდათ — ორივეჯერ საგოლე პასი გიორგი მერებაშვილმა გააკეთა, რომელიც თბილისური მატჩის მსგავსად, ახლაც გამორჩეული იყო.

ლიხტენშტაინელთა მწვრთნელი ჰაინც ჰერმანი ვა-ბანკზეც წავიდა, მცველი მოხსნა და შემტევი ნახევარმცველი პოლვერინი ჩართო თამაშში. თუმც ამან მასპინძლებს ვერაფერი ხეირი მოუტანა, ის კი არა, ბოლოს სულაც ორჯერ გადარჩნენ — ჯერ დავით ოდიკაძის დარტყმული საჯარიმო ცხრიანიდან მოხსნა სომერმა, ბოლო წუთზე კი მერებაშვილის დარტყმული მეკარისა და ძელის გავლით კუთხურზე გადავიდა.

„დინამო" უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავიდა და მომავალი მეტოქის ვინაობას დღეს გაიგებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

ალმატი (ყაზახეთი) 1:1 ზლატე მორავცე (სლოვაკეთი) (1:3)
მიკა (სომხეთი) 1:0 მტკ (უნგრეთი) (1:2)
ტეუტა (ალბანეთი) 2:2 სლავენი (ხორვატია) (2:6)
ეკრანასი (ლიტვა) 3:2 ტორსჰავნი (ფარერები) (3:1)
სუდუვა (ლიტვა) 4:0 დანგანონი (ჩრდ. ირლანდია) (0:1)
ტრანს ნარვა (ესტონეთი) 0:3 ჰელსინგბორგი (შვედეთი) (0:6)
დინამო (მინსკი, ბელარუსი) 2:0 სკონტო (ლატვია) (1:1)
ჰიბერნიანსი (მალტა) 0:2 ვოივოდინა (სერბეთი) (1:5)
ზიმბრუ (მოლდოვა) 2:2 არტმედია (სლოვაკეთი) (1:1)
ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 2:1 რიდი (ავსტრია) (1:3)
ჰაკა (ფინეთი) 2:0 რილი (უელსი) (1:3)
მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 4:0 სანტა კოლომა (ანდორა) (0:1)
დინამო (ბრესტი, ბელარუსი) 1:2 მეტალურგსი (ლატვია) (1:1)
ეტცელა (ლუქსემბურგი) 0:1 ჰიკ (ფინეთი) (0:2)
ანართოსისი (კვიპროსი) 1:0 ვარდარი (მაკედონია) (1:0)
ბრანი (ნორვეგია) 6:3 კარმატენი (უელსი) (0:0)
ვოლერენგა (ნორვეგია) 1:0 ფლორა (ესტონეთი) (1:0)
მიდტიულანდი (დანია) 2:1 კეფლავიკი (ისლანდია) (2:3)
ოდენსე (დანია) 5:0 სენტ პატრიკსი (ირლანდია) (0:0)
იანგ ბოისი (შვეიცარია) 4:0 ბანანცი (სომხეთი) (1:1)
ლიტეხსი (ბულგარეთი) 4:0 სლიმა (მალტა) (3:0)
მატერსბურგი (ავსტრია) 4:2 აკტობე (ყაზახეთი) (0:1)
სტრეიმური (ფარერები) 1:1 მიუპა (ფინეთი) (0:1)
კოპერი (სლოვენია) 2:3 შიროკი ბრიეგი (ბოსნია) (1:3)
რაბოტნიჩკი (მაკედონია) 2:1 გორიცა (სლოვენია) (2:1)
აიკ (შვედეთი) 4:0 გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) (5:0)
ჰაიდუკი (ხორვატია) 1:0 ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია) (1:1)
რუდარი (ჩერნოგორია) 0:2 ომონია (კვიპროსი) (0:2)
პარტიზანი (სერბეთი) 5:0 ზრინსკი (ბოსნია) (6:1)
ბესა (ალბანეთი) 0:0 ბეჟანიჯა (სერბეთი) (2:2)
ჰონვედი (უნგრეთი) 1:1დ.დ. (5:4პ, 1:1) ნისტრუ (მოლდოვა) (1:1)
გროცლინი (პოლონეთი) 1:0 არაზი (აზერბაიჯანი) (0:0)
რეიკიავიკი (ისლანდია) 0:1 ჰეკენი (შვედეთი) (1:1)
დროჰედა (ირლანდია) 3:0 ლიბერტასი (სან მარინო) (1:1)



ჯიმი ტამანდის აიკ-მა (მარჯვნივ) „გლენტორანი" დაიფრინა

### რუმინეთი

პირველი ლიგა. 1 ტური

გლორია 2:2 უნირეა

### შვედეთი

თასი. 1/4 ფინალი

მიალბი 1:2 გიოტებორგი

### ამხანაგური მატჩები

ლაციო 1:2 არსენალი

აიაქსი 2:0 ატლეტიკო

# უეფას თასი 2007–2008
## პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი



# ამერის პირველი ქართული

ტატანაშვილი 1:0!

თბილისი. 2 აგვისტო. 18.45 საათი. მიხეილ მესხი. 5 000 მაყურებელი

**ამერი 2:0დ.დ. (2:4პ) ბელხატუვი (0:2)**

1:0 ტატანაშვილი (42), 2:0 დავითაშვილი (47)

**პენალტები:** 0:1 სტოლარჩუკი, 0:1 დავითნიძე (მეკარე), 0:2 სტრაკი, 1:2 ხვადაგიანი, 1:3 ვრობელი, 2:3 ტატანაშვილი, 2:4 პოპეკი, 2:4 გოცირიძე (ააცილა)

**ამერი:** ქვაჩახია, ელბაქიძე, დავითნიძე, ხვადაგიანი, დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, ჯელაძე (დოლიძე 62), ბოლქვაძე (კობაური 101), დავითაშვილი (რ. გოცირიძე 75), ტატანაშვილი, სათადარიგონი: ნადირაშვილი, ჩიკვილაძე, მჭედლიშვილი, ცხადაძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**გკს ბელხატუვი:** ლეხი, გროძიცკი (მარჩინიაკი 104), კეკოტი, სტოლარჩუკი, პოპეკი, ვრობელი, სტრაკი, იარჟებოვსკი, რახვალი, უიეკი (ტომიკი 99), კოსტლი (ნოვაკი 46) სათადარიგონი: საპელა, მაგდონი, ზავოძინსკი
**მწვრთნელი:** ორესტ ლენჩიკი

**გაფრთხილება:** ჯელაძე (32), უიეკი (42), პოპეკი (48), გორძიცკი (72), რახვალი (108)

**მსაჯები:** ი. კისტერი; ნ. დოსკიევი, ე. ბელსკი; ა. ხოლმატოვი (ყველა ყაზახეთი)

**უეფას დელეგატი:** ა. გეორგიუ (კვიპროსი)

**კობა ინასარიძე**

ეს იყო ნამდვილი დრამა, გულისხეთქვა და კიდევ რა ვიცი, რა...

ეს იყო პირველი შემთხვევა ქართული ფეხბურთის ევროისტორიაში, როცა ქართულმა გუნდმა სტუმრად წაგებული 0:2 თბილისში სათავისოდ შეატრიალა და სულ ერთი ფეხის ნაბიჯზე დაინახა უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. ადრე დიდ „დინამოსაც“ შეუტრიალებია სტუმრად წაგებული მატჩები და ახლო წარსულში ეს გია გეგუჩაძისა და კახა ცხადაძის „დინამოსაც“ მოუხერხებია, მაგრამ არც ერთი ის მატჩი არ იყო 0:2 წაგებული. 0:2 კი, თავადაც მოგეხსენებათ, როგორი ცუდი ანგარიშიც არის.

„ამერმა“ შეძლო და მეტოქეს ამხელა უპირატესობაც გაუბათილა და არ მომერიდება ვთქვა, მეტოქეს 120-წუთიანი საფეხბურთო გაკვეთილიც ჩაუტარა. სამწუხაროდ კი, ამ ამბავს ქართული ზღაპრებივით დასასრული არ ჰქონდა — ძალიან, ძალიან საშინელი ფინალი ვნახეთ. ხოლო თავად ასეთი ნაღვლიანი, თვალზე ცრემლმომდგარი ქართველი ქომაგიც დიდი ხანია, არ მინახავს. პენალტების სერიით წაგებულმა „ამერმა“ დაახლოებით 5 ათასი ქომაგისგან კარგი, ვაჟკაცური ფეხბურთისთვის ტაში და მადლობა დაიმსახურა და ჩვენც, თავს მოვალედ ვთვლით, ამერელებს ჩვენი წილი მადლობა ვუთხრათ.

...არადა, ყველაფერი რა კარგად იყო. წუთიდან წუთამდე ამ მატჩზე წერის ხალისი მემატებოდა.

ჯერ ერთი რეალურზე რეალური საგოლე მომენტი, მერე მეორე... დიმიტრი ტატანაშვილის უზადო თავური და ულამაზესი გოლი... ტრიბუნიდან წამოშლილი გახარებული ქომაგი, ამერელთა გაბრწყინებული თვალები და რწმენა, რომ ეს მატჩი „ყვითლებისაა“...

მერე მეორე ტაიმი და რაღაც საოცარი კომბინაცია, სულიკო დავითაშვილის მახვილგონივრული ქუსლური პასი, გიორგი დეკანოსიძისგან ჯვარედინს შეწყვეტილი ბურთი და იქვე აბრეზას გოლიც... დავით ბოლქვაძისა და დეკანოსიძის უნაკლო და უმწვავესი პასები... ტატანაშვილის ლამაზი და ეფექტური თამაში... გიზო ჯელაძის სახიფათო ფლანგური გარღვევები... დენის დობროვოლსკისა და დავითაშვილის თავდადება... მცველებისა და მეკარის თითქმის უშეცდომო და საიმედო მოქმედება... ვაჰ, მართლა რა კარგად იყო ყველაფერი...

იცით, პირველი ტაიმი დამთავრებული არ იყო, ტატანაშვილსაც იმ წუთის გატანილი ჰქონდა პირველი გოლი, როცა „ამერის“ მწვრთნელის გიორგი ჩიხრაძის ის ინტერვიუ გამახსენდა, რომელიც მან „ბელხატუვთან“ წაგებული 0:2-ის შემდეგ თბილისში დაბრუნებისთანავე „სარბიელს“ მისცა.

კითხვა: „საპასუხო მატჩისას „ამერმა“ რა კოზირი შეიძლება გამოიყენოს?“

ჩიხრაძის პასუხი: „ჩვენთვის სასარგებლო იქნება არასტანდარტული გადაწყვეტილებები, ამიტომაც სხარტი და ტექნიკური პასები ეფექტური უნდა გამოდგეს. შესაძლოა, „ბელხატუვის“ მცველებს ასეთი პასები გაეპაროთ და ეს ჩვენთვის შედეგიანი აღმოჩნდეს“.

„ბელხატუვის“ მცველებს ასეთი პასები გაეპარათ და ვინ იცის, რამდენჯერ. ინტერვიუს ამ ნაწყვეტიდან გამოჩნდა, რომ მეტოქე, პოლონეთის ვიცე-ჩემპიონი „ბელხატუვი“ ჩიხრაძეს მართლაც ხუთი თითივით, უზუსტესად ჰყავდა შესწავლილი და ეს გუშინდელმა მატჩმაც დაადასტურა. „ამერის“ თავკაცმა და მისმა შეგირდებმა ერთადერთი იღბალს ვერ მოუხერხეს ვერაფერი, თორემ სხვა... 120 წუთი „ბელხატუვი“ შავ დღეში იყო.

იცით, პირველი ტაიმის ბოლოს უკვე მოფიქრებულიც კი მქონდა, რომ მატჩზე წერას სწორედ ინტერვიუდან ამ ციტატით დავიწყებდი, მაგრამ ახლა?!

ასეთია ფეხბურთი, უნდა მოგეგო 6:0, მოიგე 2:0, სულ ბოლოს კი მაინც წაგებული დარჩი... აი, აქ იკარგება ლოგიკა. ზოგადად, ასეთ შემთხვევებში პენალტებსაც ის გუნდი იგებს, ვინც ასეთ ჩამორჩენას აბათილებს ხოლმე.

თუმცა მეორეცაა, ღირსების საქმე... „ამერმა“ კი ეს საქმე ღირსეულად გააკეთა.

## პრესკონფერენცია

ორესტ ლენჩიკი: „ამერმა“ პირველ ტაიმში გვაჯობა, განსაკუთრებით კარგად მოძრაობდნენ მათი ნახევარმცველები. მეორე ტაიმში კი შედარებით დავლაგდით... ჩვენ ევროთასებზე დებიუტი გვქონდა და მიზანი პირველი ეტაპის გადალახვა იყო. სასიამოვნოა, რომ ეს მოვახერხეთ...

...მეტოქე გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი მომეწონა, განსაკუთრებით დეკანოსიძე და დავითაშვილი...

...„ამერს“ განსაკუთრებით არ გავუოცებივარ, უფრო ჩემი ფეხბურთელების ცუდის თამაშით დავრჩი გაოცებული...

გიორგი ჩიხრაძე: ვულოცავ მეტოქეს ევროსარბიელზე წარმატებულ დებიუტს. ჩემს ფეხბურთელებს კი მადლობა თავდადებული თამაშისთვის...

...ვიცოდით მეტოქის სათამაშო სტილი — ისინი უფრო ძალისმიერ და ათლეტურ ფეხბურთს თამაშობენ, ამიტომ ჩვენი ტაქტიკა დაბალ, მოკლე და სწრაფ პასებზე იყო გადატანილი, რაც ფეხბურთელებმა კარგად შეასრულეს, სამწუხაროდ, ბოლოს ძალა აღარ გვეყო...

**0-20 წუთი:** ბურთს ძირითადად „ამერი“ აკონტროლებს. სახიფათო მომენტი არ შექმნილა, მაგრამ ჩანს, რომ პოლონელები ძალიან ფრთხილობენ და არ რისკავენ.

**22-ე წუთი:** დავით ბოლქვაძის გონივრული პასით დიმიტრი ტატანაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა. დარტყმას პასი ამჯობინა და მომენტი თითქოს დაიკარგა, მაგრამ იქვე სულიკო დავითაშვილმა ბოლომდე იბრძოლა, გიორგი დეკანოსიძეს დაუგორა — დარტყმული პოლონელებმა მოიგერიეს.

**25-30 წუთი:** ბურთი ისევ ამერელებისაა, თუმცა „ბელხატუვი“ თავს კარგად იცავს.

**35-ე წუთი:** იარჟებოვსკიმ სახიფათო პასი ჩაჭრა და გუნდი გადაარჩინა, არადა, დეკანოსიძე იქვე იყო და...

**მე-40 წუთი:** კარლო კოსტლი მცველებს გაეპარა და ზურაბ ქვაჩახიამ იყოჩაღა.

**42-ე წუთი:** დავითაშვილის პასით ტატანაშვილმა ულამაზესი თავური გაიტანა შორეულ კუთხეში — 1:0.

**47-ე წუთი:** ეს-ეს არის თამაში განახლდა და „ამერმა“ მეორეც შეაგდო: მეკარის შეცდომით გიზო ჯელაძემ ისარგებლა, დავითაშვილს მიაწოდა ბურთი, ამან დეკანოსიძე ქუსლით გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე — ბურთი ჯვარედინს ხვდება და... დასწრებაზე ისევ დავითაშვილი გაჩნდა — 2:0!

**50-55 წუთი:** ტემპი დაეცა. პოლონელები თითქოს ამოძრავდნენ, მაგრამ სახეიროს ვერაფერს ქმნიან.

**58-ე წუთი:** ქვაჩახიამ დავიდ ნოვაკს აუღო სახიფათო დარტყმული. კუთხურიდან კი რახვალმა თავით ააცილა.

**61-ე წუთი:** დავითაშვილის დახვეწილი პასი და... ჯელაძე მცველთან ორთაბრძოლაში წაიქცა. პენალტს ჰგავს, მაგრამ... მსაჯი თამაშს აგრძელებს.

**65-90 წუთი:** გუნდები შეტევას კი ცდილობენ, მაგრამ თამაში უფრო ცენტრში მიდის.

**96-ე წუთი:** ტატანაშვილის ძალიან სახიფათო დარტყმულს მეკარე ძლივს მისწვდა...

**99-ე წუთი:** ტატანაშვილმა სასწაული პასი მისცა რევაზ გოცირიძეს, რომელიც პირისპირ გადიოდა, მაგრამ წაიბორძიკა და...

**104-ე წუთი:** ისევ ტატანაშვილის პასი და გრიგოლ დოლიძე მეკარესთან პირისპირ გადის, არტყამს კიდეც, მაგრამ... რატომღაც კარში არ ურტყამს და იქცევა...



დავითაშვილი 2:0!



პოლონელებმა ვაიქომაგეებმა ტრიბუნებზე ღებოში ატეხეს

საქართველოში კარგი მწვრთნელების ნაკლებობა რომ არის, მგონი, საკამათო არ უნდა იყოს. ახალგაზრდა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ კი რამდენიმე ქართულ კლუბში იმუშავა და საკმაოდ წარმატებითაც. ახლა ის თბილისის „ლოკომოტივის“ თავკაცია და ახალი სეზონისთვის ემზადება...



# მწვრთნელებზე კონტროლი აუცილებლად უნდა დაწესდეს!

— რამდენიმე ფეხბურთელი თავიდანვე გავუშვი და, ფაქტობრივად, ახალი გუნდის შექმნა დავიწყე. 10-დღიანი შეკრება გავიარეთ ურეკში, სადაც ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზე გავამახვილეთ ყურადღება. მხოლოდ ერთი ტესტ-მატჩი გავმართეთ რუსთავის „ოლიმპთან“. მერე თბილისში დავბრუნდით და ხუთი ამხანაგური მატჩი ჩავატარეთ. მთლიანობაში გუნდის მომზადებით კმაყოფილი ვარ.

— ახალ სეზონში რა მიზნები გაქვთ?

— კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი. ჩემი გუნდი მოედანზე ყველა თამაშის მოსაგებად უნდა გავიდეს. ისე, რა გაქანების გუნდი ვიქნებით, ჩემპიონატის დასაწყისში უფრო გამოჩნდება.

— მიხეილ მესხის სახელობის სტადიონს ახალი მეპატრონე ჰყავს — შპს „ლოკომოტივი 36“-ის დირექტორი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც კლუბის აქციათა 25 პროცენტსაც ფლობს. მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ გუნდს გვერდით დაუდგება. თქვენთან ამ თემაზე ხომ არ უსაუბრია?

— ჯერჯერობით კონკრეტული არაფერი ყოფილა. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ „ლოკომოტივი“ ისევ ამ სტადიონზე ითამაშებს.

— ადრე ამბობდით, რომ გერმანიაში გინდოდათ სამწვრთნელო კურსების გავლა. როდის აპირებთ წასვლას?

— ამ ეტაპზე აქ დარჩენას ვამჯობინებ, კიდევ შევიძენ გამოცდილებას და მერე წავალ.

— საქართველოში მომუშავე მწვრთნელთა უმრავლესობა სულაც არ ცდილობს ცოდნის გაღრმავებას. თქვენ რას აკეთებთ იმისთვის, რათა ზრდა არ შეწყვიტოთ?

— ჩემი აზრით, მწვრთნელი, პირველ რიგში, პრაქტიკით უნდა იყოს განსწავლული. მადლობა ღმერთს, ფეხბურთელი ვიყავი და ამით ბევრი ვისწავლე. მწვრთნელთა ლიცენზირებასაც გავდივარ. ჩემი მეგობრები უცხოეთიდანაც მაწვდიან მწვრთნელისთვის აუცილებელ წიგნებს და ვიდეო თუ აუდიომასალას... ჩამორჩენილი ნაღდად არ ვარ.

— ბავშვთა ფეხბურთი სათუთი თემაა, საქართველოში კი, ვისაც არ ეზარება, ლამის ყველა ბავშვთა მწვრთნელობას იბრალებს...

— სამწუხაროდ, მართლაც ასეა. მწვრთნელთა ლიცენზირებას გაიოზ დარსაძე ხელმძღვანელობს და ვიტყვი, რომ იქ არავითარი შეღავათები არ ხდება. მწვრთნელებზე კონტროლი აუცილებლად უნდა დაწესდეს!

— და ბოლოს თქვენს დისშვილ ლევან ყენიაზეც გკითხავთ. რატომ ჭიანურდება მისი გერმანიაში წასვლა?

— ლევანი არასრულწლოვანია და საბუთების გაკეთება ამიტომ ჭირს, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მალე ყველაფერი მოგვარდება.

**ნუკრი ლოლაძე**

# გადარჩება და დარჩება ტორპედო?
## დღეს უმაღლესი ლიგის ბოლო წევრი გაირკვევა

„ფაქტობრივად, ყველაფერი მოგვარებულია — გვითხრა გუშინ „ტორპედოს“ გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ კაკაურიძემ — საგარანტიო თანხის ნაწილს ხვალ ანგარიშზე დავდებთ, ნაწილს კი ერთი თვის განმავლობაში დავფარავთ. „ტორპედო“ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშებს“.

როგორც შევიტყვეთ, „ტორპედოს“ უკან კონკრეტული ორგანიზაცია, ან კონკრეტული პიროვნება არ დგას. საგარანტიო თანხა ქველმოქმედებით — ბიზნესმენების შემწეობით იკრიბება.

იქნება კი ეს პირობები მისაღები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგისთვის?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პროფლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს დავუკავშირდით...

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება გადაეცა ქუთაისის „ტორპედოს“ წარმომადგენელს — გვითხრა ბურჯალიანმა — 3 აგვისტოს კლუბმა ანგარიშზე უნდა წარმოადგინოს 30 000 ლარი, აგრეთვე თუ ვინ აფინანსებს გუნდს, რომელიც, სულ ცოტა, ერთი წელი იკისრებს დაფინანსებას, რათა გუნდმა ჩემპიონატი არ მიატოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, „ტორპედო“ მოიკვეთება უმაღლესი ლიგიდან...

...თანხის ნაწილ-ნაწილ გადახდის თაობაზე პირადად აღმასკომისთვის წერილობით უნდა მიემართათ, როგორც მე ვიცი, ასეთი რამ ჯერ არ გაკეთებულა. თუ „ტორპედოს“ აქვს ასეთი წინადადება, ალბათ ამის თაობაზე 3 აგვისტოს იმსჯელებენ. პირადად მე ეჭვი მეპარება, აღმასკომმა ეს აზრი გაითვალისწინოს“.

როგორც ჩანს, „ტორპედოს“ საკითხი ისევ ღიადაა და უმაღლესში მისი თამაში ეჭვის ქვეშ დგას, არადა, დღეს ბოლო ვადაა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზესტაფონმა თურქეთი მოილია

„ზესტაფონი“ თურქულ შეკრებას ამთავრებს — გუნდი ხვალ დაბრუნდება საქართველოში და ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას აქ გააგრძელებს.

გუშინ კი იმერლებმა თურქული შეკრების ბოლო საკონტროლო მატჩი გამართეს „ანთალიასფორთან“ და 1:1 დაუზავდნენ.

„ზესტაფონი“ მე-17 წუთზე გაგა ჩხეტიანის გოლით დაწინაურდა, მაგრამ მეორე ტაიმის შუაში საპასუხო გოლი მიიღო.

თემურ მახარაძემ გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ქანტურია, ს. თოდუა (ქორიძე 46), შ. ლონდაძე, საჯაია, ვიეირა (დაუშვილი 46), ქ. ჩხეტიანი (ხიდეშელი 46), ონიანი, კესანი, ნ. კვასხვაძე (ბენაშვილი 46), გ. ჩხეტიანი (იონანიძე 46), ფიფია (ჯიშკარიანი 46).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# აშვეთია მეხუთეზე: პერმის ამქარი
## მწვრთნელმა, ქართველი მჭირდებაო

**მახაჩყალის** „ანჟისთან“ ვერმორიგებულმა მიხეილ აშვეთიამ ურალს მიაშურა და პერმის „ამქარში“ ისინჯება.

რუსული ვებგვერდების ცნობით, 29 წლის ქართველმა თავდამსხმელმა უკვე რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა „ამქართან“ ერთად და ურალელთა მწვრთნელ რაშიდ რახიმოვს მასზე კარგის მეტი არაფერი დასცდენია.

„აშვეთია დიდი გამოცდილების ფეხბურთელია და იგი გუნდს სარგებლობას მოუტანს“ — განაცხადა რახიმოვმა.

აშვეთიას „ამქარში“ გადასვლა მას შემდეგ გადაწყდება, როდესაც კლუბის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელის აგენტი მოილაპარაკებენ.

შეგახსენებთ, რომ თუ აშვეთიას ამქარული საქმე გაიჩარხა, ეს მისი მეხუთე რუსული კლუბი იქნება — მანამდე ქართველ თავდამსხმელს „ლოკომოტივში“, „ალანიაში“, „რუბინსა“ და „როსტოვში“ უთამაშია. რახიმოვის ნახსენებ გამოცდილებას კი დანიურ „კოპენჰაგენსა“ და გერმანულ „კარლ ცაისში“ გატარებული პერიოდიც უმაგრებს ზურგს.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გოგუა ნელ-ნელა იწყებს



**საქართველოს** ნაკრებისა და რამენსკოეს „სატურნის“ ფეხბურთელმა გოგიტა გოგუამ ერთი თვის წინ მენისკის ოპერაცია გაიკეთა, თუმც ვარჯიში მალევე განაახლა და ორიოდ დღეა, ძირითად შემადგენლობას შეუერთდა.

მართალია, შეზღუდვებით, მაგრამ გოგუა უკვე ორხმრივ თამაშებშიც მონაწილეობს და, როგორც კლუბის ვებგვერდი გვამცნობს, თანდათანობით იბრუნებს სათამაშო ფორმას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ცხინვალური სამზადისი

**უმაღლესლიგელმა** ცხინვალის „სპარტაკმა“ გუშინ თბილისის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ორი საათი ივარჯიშა. კობა ჟორჟიკაშვილის გუნდში 35 ფეხბურთელია.

ზეგ „სპარტაკი“ საქართველოს თასზე „გაგრას“ შეხვდება და ზუსტად ამ მატჩამდე ეცოდინება ჟორჟიკაშვილს, ვის დაიტოვებს გუნდში.

გიორგი ნემსაძესთან ერთად „სპარტაკიდან“ წავიდა კლუბის პრეზიდენტი გია ოქრუაშვილი. ახლა კი სამაჩაბლოური კლუბის აღმასრულებელ დირექტორად ვაჟა ტოგონიძე დაინიშნა, ვინც ცოტა ხნის წინ „გაგრას“ მწვრთნელი იყო.

**ნუკრი ლოლაძე**

# პოლონეთ — საქართველოს ისრაელი განსჯის

**22 აგვისტოს** პოლონეთის ქალაქ ზაბიერჟოვის „კმიტას“ სტადიონზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მასპინძელ თანატოლებს გაეჯიბრება. ეს მატჩი ევროპის 2009 წლის შესარჩევ ეტაპზე რიგით მეორე იქნება ქართველებისთვის. პირველი შეხვედრა ჩვენმა ახალგაზრდებმა შინ 0:1 დათმეს ესპანელებთან.

პოლონეური მატჩის დაწყების თარიღი უცნობია, სამაგიეროდ, უეფამ უკვე დანიშნა მსაჯები — ოთხივე მსაჯი ისრაელიდანაა.

არბიტრი ჰაიმ იაკოვი იქნება, მისი ასისტენტები კი — ერეზ ზატელმანი და შაბთაი ნახმიასი. მეოთხე მსაჯის ფუნქციას მენაშე მასიახი შეასრულებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

2007 წლის 8 აგვისტოს 12 საათზე გაიმართება უმაღლესი ლიგის კლუბების ჭაბუკთა ლიგაში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელთა შეკრება. ხოლო 10 აგვისტოს 12 საათზე შეიკრიბებიან ჭაბუკთა ლიგაში მონაწილეობის მსურველი კლუბების (სკოლების) ხელმძღვანელები.

*სფფ-ის პრესცენტრი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

**ასტანა (ყაზახეთი) 1:3 რუსენბორგი (ნორვეგია)**
0:1 ი. კონე (4), 1:1 კუჩმა (27), 1:2 ივერსენი (58პ), 1:3 ი. კონე (62)

**ვენტსპილსი (ლატვია) 0:3 ზალცბურგი (ავსტრია)**
0:1, 0:2, 0:3 აუფჰაუზერი (20, 27, 83პ)

**ჟილინა (სლოვაკეთი) 0:0 სლავია (ჩეხეთი)**

**ბეშიქთაში (თურქეთი) 1:0 შერიფი (მოლდოვა)**
1:0 ტორამანი (73)

**ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) 1:0 ლევადია (ესტონეთი)**
1:0 კორომანი (35)

**დომჟალე (სლოვენია) 1:2 დინამო (ხორვატია)**
0:1 შოკოტა (7), 0:2 მოდრიჩი (51პ), 1:2 ზეზელი (87)

**ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 1:3 ბატე (ბელარუსი)**
1:0 ოლაფსონი (4), 1:1 ლიხტაროვიჩი (32), 1:2 როდიონოვი (49), 1:3 ბლიზნიუკი (61)



რენე აუფჰაუზერი

# გოლჰაუზერი
## ტორამანი და კორომანი

**ბურკინაფასოელმა** იუსუფ კონემ ერთი თავით, მეორე კი უმახვილესი კუთხიდან დარტყმით გაუტანა „ასტანას“, ვისაც ძირითადი შემადგენლობის ორი ფეხბურთელი აკლდა — ნახევარმცველი დიან ტოდოროვი დისკვალიფიცირებული იყო, ხოლო მცველი მაქსიმ ჟალმაგამბეტოვი ბრატისლავის „სლოვანშია“ გასინჯვაზე.

კონეს პირველი გოლის შემდეგ ედუარდ სერგიენკო „რუსენბორგის“ მეკარესთან პირისპირ გავიდა და ვერ გაიტანა. სამაგიეროდ, კაპიტანმა ალექსანდრ კუჩმამ იხეირა საჯარიმო დარტყმით — ბურთი ხარიხის ქვეშ შეაძვრინა.

მეორე ტაიმში კონეს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი სტეფან ივერსენმა გამოიყენა, ხუთიოდ წუთში კი ბურკინაფასოელმა „ასტანას“ მეკარე სერგეი ბოიჩენკო გააოცა — მახვილი კუთხიდან ახლო კუთხეში გაუტანა.

ავსტრიელმა რენე აუფჰაუზერმა ლატვიაში ზეიმი მოიწყო — „ვენტსპილსთან“ ჰეთ თრიქი შეასრულა და ჯოვანი ტრაპატონის „ზალცბურგი“ ცალი ფეხით მესამე ეტაპზეა.

მე-14 წუთზე მასპინძელთა ფორვარდმა ჟან-პოლ ნდეკიმ თავურით ახლოდან ააცილა, აუფჰაუზერმა კი ამის მერე აჩვენა, თუ როგორ უნდა გოლების გატანა. მან ჯერ მეკარის მოგერიებულს დაამატა, მერე კუთხურიდან ჩაწოდებულს ჰკრა თავი და სხვაობა ორამდე გაზარდა, შეხვედრის მიწურულს კი პენალტი შეაგდო.

ისლანდიის „ჰაფნარფიორდურმა“ და მისმა ქომაგებმა მეოთხე წუთზევე გაიხარეს — მატიას ოლაფსონმა მასპინძლები დააწინაურა და ბატე-ს განადგურების მოლოდინში იყვნენ, მაგრამ ამის მერე მხოლოდ თავისი კარიდან გამოტანილ ბურთებს ითვლიდნენ. დმიტრი ლიხტაროვიჩის დარტყმულს მცველმა სევარსონმა კარის ხაზს შიგნითლა მიუსწრო. მეორე ტაიმის დასაწყისში ვიტალი როდიონოვმა ბატე დააწინაურა, ხოლო შეტევებით გართულ „ჰაფნარფიორდურს“ მესამე გენადი ბლიზნიუკმა გაუტანა.

„იმის ნაცვლად, რომ მეორეზე გვეზრუნა, პირველი გოლის შემდეგ დაცვაში ჩავდექით და დავისაჯეთ“ — თქვა ისლანდიელთა მწვრთნელმა ოლაფურ იოჰანესონმა.

სამეზობლო მატჩში სლოვენიის „დომჟალე“ ხორვატიულ „დინამოსთან“ დამარცხდა.

სტუმრები მეშვიდე წუთზე ტომისლავ შოკოტამ დააწინაურა, რომელიც გარე-გარე ექვსწლიანი წანწალის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. შოკოტამ მოდრიჩისგან მიიღო ბურთი და ახლოდან გაიტანა.

„დინამოს“ უპირატესობა აშკარა იყო, მეორე გოლამდე კი მაინც ერთი საათი იცადეს. ლუკა მოდრიჩი საჯარიმოში წააქციეს და მანვე პენალტით გაიტანა. ამის მერე დაცხრა „დინამო“, ხოლო „დომჟალე“ ეკვეთა მეტოქის კარს და შეცვლაზე შესულმა ზეზელიმ სხვაობა შეამცირა.

„ბეშიქთაშის“ მცველის იბრაჰიმ ტორამანის დარტყმამ ძლივს გატეხა „შერიფის“ დაცვა და კარგად მოთამაშე მეკარე სერგეი პაშჩენკო. სტამბოლურ კლუბს ახალი მწვრთნელი ჰყავს — ერტულისულ საღლამი, რომელმაც გვარიანად გააძლიერა გუნდი.

„ბეშიქთაშს“ ოთხი სეზონია, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე არ უთამაშია და წლეულს ბარიერის გადალახვა სურს.

მატიას დელგადო და იბრაჰიმ უზულმეზი სხვებზე უფრო ყოჩაღობდნენ პირველ ტაიმში, მაგრამ პაშჩენკოც არ იყო ჯაბანი.

შესვენების შემდეგ საღლამმა 16 წლის ბათუჰან კარადენიზი შეუშვა, მაგრამ პატარამაც ვერაფერი მოახერხა. გამოცდილმა იბრაჰიმ ტორამანმა კი რიკარდინიოს ჩაწოდებულ კუთხურზე იხეირა და „ბეშიქთაშს“ მოაგებინა.

ტორამანს არ ჩამორჩა კორომანი, რომელმაც „ცრვენა ზვეზდა“ ფანთა რისხვისგან იხსნა. ოგნიენ კორომანის კინკილა გოლით შეძლეს ცრვენელებმა ტალინის „ლევადიას“ დამარცხება, რომლის განადგურებასაც წინასწარმეტყველებდნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# როსი ფორლანი არაა
## პატარა იტალიას ამბიციური ესპანეთი ჯობია



AFP

**„მანჩესტერიდან“** „ვილიარეალში“ გადასულმა ჯუზეპე როსიმ თქვა: „იტალიაში იმიტომ არ დავრჩი, რომ დიდი კლუბებიდან შემოთავაზება არ მქონდა“.

20 წლის იტალიელი ფორვარდი „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეკუთვნოდა და გასული სეზონის მეორე ნახევარი „პარმაში“ გაატარა, სადაც 19 მატჩში 9 გოლი შეაგდო.

განათხოვრების ვადის ამოწურვის შემდეგ ბიჭს კარიერას იტალიაში გაგრძელება სურდა, მაგრამ „დიდებმა“ არ დაუძახეს.

მისით „პარმა“, „ნაპოლი“ და „ფიორენტინა“ დაინტერესდნენ, რაც როსის ჭკუაში არ დაუჯდა.

„დიდი მადლობა ახალ კლუბს შანსისთვის — თქვა ფორვარდმა — „ვილიარეალი“ ბოლო წლებში ამბიციებით გამოირჩევა და ამ ზაფხულსაც საკმაო თანხა დახარჯეს გასაძლიერებლად. მათ ჩემი სჯერათ და ვეცდები, იმედი გავუმართლო. მე უფრო თავდამსხმელების დამხმარე ვარ, ვიდრე ნაღდი მეგოლე. დიეგო ფორლანის შემცვლელად არ მოვსულვარ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი შრომით უნდა დავიმკვიდრო“.

შეგახსენებთ, რომ როსიში 6 მილიონ 700 ათასი გირვანქა გადაიხადეს და ექვსწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## სამირი წლეულსვე

**„მარსელის“** და საფრანგეთის ნაკრების ნიჭიერი ფეხბურთელი სამირ ნასრი, შესაძლოა, წლეულსვე აღმოჩნდეს მადრიდის „რეალში“ — წერს ესპანური „მარკა“.

„სამეფო კლუბი“ უკვე მორიგებული ყოფილა „მარსელთან“, რომ მომავალ ზაფხულს ბიჭი მადრიდში გადავა, მაგრამ „რეალს“ ამ წლის ბოლომდე სურს ნახევარმცველის წაყვანა.

ესპანელები „პორტუდან“ არგენტინელი ლუჩო გონსალესის შეძენაზეც ფიქრობენ, რომლის ფასიც 25 მილიონი ევროა.

## ტურინელი აგენტი ჯანიკედა

**„იუვენტუსის“** ყოფილი ნახევარმცველი 32 წლის ჯულიანო ჯანიკედა „ლივორნოში“ გადავიდა. ფეხბურთელს „იუვესთან“ კონტრაქტი 22 ივლისს დაუსრულდა და თავისუფალი აგენტი გახდა. ტურინულ კლუბში 2005 წელს მივიდა და მხოლოდ 22 მატჩში ითამაშა, უმეტესობა შეცვლაზე. მან ექვსი სეზონი „უდინეზეში“ და ოთხი „ლაციოში“ გაატარა.

## გიზას გზა მალიორკასკენ

**„ხეტაფეს“** ფორვარდი დანიელ გიზა „მალიორკაში“ 5 მილიონ ევროდ იყიდა. 26 წლის თავდამსხმელი ფანების ჯილა იყო, მაგრამ ხუთი წელი გაატარა „ხეტაფეში“ და წასვლა სურდა. გუნდს გასულ სეზონში ბერნდ შუსტერი წვრთნიდა, რომელიც „რეალში“ წავიდა და მისი ადგილი მიხაელ ლაუდრუპმა დაიკავა. გიზას შეძენა ყაზანის „რუბინსაც“ უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელი ესპანეთში დარჩა და „მალიორკასთან“ ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

## დელურამ ვერ გაამართლა

**„შალკეს“** ფორვარდი მიხაელ დელურა ბერძნულმა „პანიონიოსმა“ შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელმა გუშინწინ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. დელურამ გუნდის შეცვლა გადაწყვიტა, რადგან მწვრთნელმა მირკო სლომკამ უთხრა, რომ მის გეგმებში არ შედის. ფორვარდს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ვერ გაამართლა.

იგი „მიონხენგლადბახში“ და „ჰანოვერში“ იყო განათხოვრებული.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ორგზის საზიზღარი ლივერპული

## რატომ იფურთხებიან უცხოელები?



**რაპიდა** ორი ამბავი მოვისმინეთ, მოდით, მესამესაც დავუგდოთ ყური: „შეფილდ იუნაიტედის“ წასული მწვრთნელის ნილ უორნოკის მონაყოლზე მოგახსენებთ. ეს ამბები მალე წიგნადაც აიკინძება და ინლისში გაიყიდება, ჩვენ კი ასე, საზაფხულო საკითხავის ფორმით გადავათვალიეროთ და ვნახოთ, რატომ ვერ იტანს მისტერ უორნოკი „ლივერპულის“ ცნობილ თავკაც რაფა ბენიტესს.

უორნოკი ამბობს, რომ გასული სეზონის ბოლოს „ვესტ ჰემს“ პრემიერლიგაში დარჩენის კონკურენტად არ მიიჩნევდა, რადგან ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ ეს ლონდონური კლუბი მდგომარეობიდან გამოძვრებოდა. მას მერე, რაც გაირკვა, რომ „უოტფორდი“ და „ჩარლტონი“ გავარდნენ, „შეფილდის“ მწვრთნელის ვარაუდით, მესამე ან „ფულემი“ იქნებოდა, ან „უიგანი“. როგორც ხედავთ, ის თავისი გუნდის გავარდნას წამითაც არ უშვებდა, რის საფუძველსაც „ფულემისა“ და „უიგანის“ საშინელი ფორმა და უიღბლობა აძლევდა, მაგრამ...

ბოლოსწინა ტურში „შეფილდ იუნაიტედი“ „ვილა პარკზე“ „ასტონ ვილასთან“ ჩავიდა, „ლივერპული“ კი „კრეივენ კოტეჯზე“ „ფულემს“ ეწვია.

ამ ამბის თხრობისას მნიშვნელოვანია იმის თქმა, რომ რამდენიმე დღით ადრე „ლივერპულმა“ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალიდან „ჩელსი“ გამოთიშა და, შესაბამისად, რა განწყობით გავიდოდა „ფულემის“ წინააღმდეგ, ბუნებრივია, უცნობი გახლდათ.

ერთი სიტყვით, უორნოკი ისევ იმ პრობლემას გადაეყარა, რომლის შესახებაც თავის მეორე წერილში უკვე გვიამბო — გახსოვთ, ბოლო ტურისა და „ვესტ ჰემ“ — „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშის ამბავი? „შეფილდის“ მწვრთნელი თავის ოდინდელ მეგობარზე, ალექს ფერგიუსონზე წყენით ლაპარაკობდა, თავს უფლება მისცა და მოედანზე საუკეთესო ფეხბურთელები არ გაიყვანაო. ჰოდა, საბრალო შეფილდელების საუბედუროდ, „ლივერპულმაც“, რომლისთვისაც წესითა და რიგით, „ფულემის“ შეხრამუნება პრობლემა არ უნდა ყოფილიყო, ძირითადი შემადგენლობის ცხრა ფეხბურთელი არ ათამაშა.

„ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე ჯერ კიდევ ორი კვირა რჩებოდა და ჩემთვის რაფა ბენიტესის ასეთი საქციელი ამიტომ გახლდათ გაუგებარი“ — დღემდე გაოცებული და აღშფოთებულია უორნოკი.

მოკლედ, ბენიტესმა პრემიერლიგის ბოლოსწინა ტურს, „ფულემს“ და „კრეივენ კოტეჯზე“ შეკრებილ მაყურებელს მეორე შემადგენლობა აკადრა.

„გასაგებია, რომ ბენიტესი, უპირველეს ყოვლისა, თავისი გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა, მაგრამ ვინ ამიხსნის, რა საჭირო იყო მნიშვნელოვან მატჩამდე ორი კვირით ადრე მთელი შემადგენლობის დასვენება? თან, ერთი კვირის შემდეგ, პრემიერლიგის ბოლო ტურში, „ჩარლტონთან“ შეხვედრაში, რომელიც აბსოლუტურად არაფერს წყვეტდა, მან უკვე საბრძოლო შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე...

...ჰოდა, როდესაც „ლივერპულის“ შემადგენლობა დავინახე, რაფა ბენიტესი შემზიზღდა. ვიცი, ცუდად ჟღერს, მაგრამ ზუსტად ასე იყო. მე ის შემზიზღდა“.

და მაინც, ამ დროს და ასეთ ვითარებაშიც კი ყველაფერი საკუთრივ „შეფილდის“ ხელში იყო. „ასტონ ვილასთან“ ერთი ქულის მოპოვება უორნოკსა და მის გუნდს პრემიერლიგაში ტოვებდა. მეტიც, არც 0:1-ის წაგება იქნებოდა ტრაგედია, რადგან ასეთი ანგარიშის შემთხვევაშიც კი ბოლო ტურში შეფილდელებს „უიგანთან“ 0:3 უნდა წაეგოთ, რომ გავარდნილიყვნენ.

„ალბათ, მეც დავუშვი შეცდომა. ალბათ, იმ საღამოს მოედანზე უფრო კონსერვატული შემადგენლობა უნდა გამეშვა — იგონებს უორნოკი — მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ რამდენიმე საათით ადრე „უიგანმა“ მიდლსბროში წააგო და ამით ისე ვიყავით გახარებულნი, რომ გოლების სხვაობაზე აღარც კი ვფიქრობდით“.

დიახ, უორნოკი აღიარებს, რომ „ასტონ ვილასთან“ ხუთი მცველით რომ ეთამაშა, დიდი-დიდი 0:1 წაეგო, ასე კი, ვაგლახ, თამაში ბირმინგემელთა გამარჯვებით, 3:0 დასრულდა.

და მაინც, ისევ და ისევ, „შეფილდსა“ და „უიგანს“ შორის სამქულიანი სხვაობა და ერთბურთიანი უპირატესობა რჩებოდა, თუმცა, მეორე მხრივ, ეს უკვე იმასაც ნიშნავდა, რომ ბოლო ტურში, შეფილდში გამარჯვების შემთხვევაში პრემიერლიგაში „უიგანი“ რჩებოდა და არა ბენიტესის მოძულე მისტერ უორნოკი.

და მაინც: „ცხრილის ძირში მთელი სიტუაცია „ლივერპულმა“ არია, როდესაც „ფულემთან“ მეორე შემადგენლობით 0:1 წააგო. როდესაც ამ თამაშის ანგარიში შევიტყვე, გული კინაღამ ამერია. ვიგრძენი, რომ უსინდისო ღალატის მსხვერპლი ვიყავი. უკვე ძალიან მინდოდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანს“ მოეგო და ბენიტესი გამწარებული დარჩენილიყო“.

შეგახსენებთ, რომ უორნოკმა „მანჩესტერ იუნაიტედზე“ საუბრისასაც იგივე თქვა. „შეფილდის“ გაწბილებულ მწვრთნელს ალექს ფერგიუსონიც ასევე უნდოდა ენახა და ამიტომ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასის ფინალში ვაჟთან ერთად „ჩელსის“ გულშემატკივართა ტრიბუნაზე მოკალათდა, ოღონდ გულში სერ ალექსს მაინც ბოდიშს უხდიდა.

„მაპატიე ძმაო, მაგრამ სულ არ მაინტერესებს, როგორ ითამაშებს შენი გუნდი დღეს. ჩემთვის მთავარია, შენ წააგო, ისევე, როგორც ძალიან მინდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ლივერპული“ „მილანმა“ დაამარცხოს“.

მეტიც, ნილ უორნოკი უფრო შორს წავიდა, გააკეთა ის, რასაც საერთოდ არ აკეთებს ხოლმე, ბუქმეიკერს დაურეკა და „ჩელსისა“ და „ლივერპულის“ დამარცხებაზე დადო ფული.

„სხვათა შორის, „ლივერპულთან“ პირველად როდი მქონდა პრობლემა — განაგრძობს „შეფილდის“ ყოფილი მწვრთნელი — 2003 წელს, როდესაც მათი მწვრთნელი ჯერ კიდევ ჟერარ ულიე იყო, ჩვენ მათ „უორსინგტონის“ [illegible] ფინალში შევხვდით. „ლივერპულმა“ პირველ [illegible] ში კი ბურთი აგორავა. ნამდვილი მასხარაობა იყო. მე ტრიბუნაზე ვიჯექი. იქიდან ჩემს ასისტენტს დავურეკე და ვუთხარი, ახლა ჩამოვადლ და მაგათ ცოტა ავამოძრავებ-მეთქი. ჰოდა, სწორედ გვირაბიდან რომ გამოვედი და ულიეს შორიახლოს ჩავიარე, ლივერპულელმა სალიფ დიაომ მოედანზე საშინლად იუხეშა. ავტეხე კიდეც ღრიალი: რამდენჯერ უნდა იუხეშოს ამ დიაომ, მსაჯმა კი ყურადღება არ უნდა მიაქციოს-მეთქი.

— არა, არა, მსაჯი მართალია, დიაოს ცუდი არაფერი უქნია — მიპასუხა ულიემ.

საერთოდ, ჟერარი კარგი კაცი იყო, მაგრამ იმწუთას მე სიტუაციის გამწვავება მჭირდებოდა.

— „ფაქ ოფ“ ჟერარ, რას მეხუმრები. ნაღდი გასაყვითლებელი იყო.

ამის დანახვაზე ულიეს თანაშემწე ფილ ტომპსონი წამოხტა და ისეთი გამხეცებული მომვარდა, გეგონება, თავად ყოფილიყო ულიე.

— „ფაქ ოფ“ პინოქიო, წაეთრიე შენს კარადაში და იქ დაჯექი — ღრიალი გავაგრძელე მე.

ტომპსონმა ხელების ქნევა და ჟესტიკულაცია დაიწყო. ამასობაში მეოთხე მსაჯიც მოვიდა და სიტუაცია ჩააწყნარა, მაგრამ „ლივერპული“ ბურთის ქედმაღლურად გორების იმტაზე აღარ იყო. ჩემები გონს მოეგნენ და ის შეხვედრა 2:1 მოვიგეთ. თამაშის ბოლოს ტომპსონმა ხელი არ ჩამომართვა და დამემუქრა, დაიცადე, თქვენს ადგილას თუ არ დაგაყენოთო.

მართლაც, მეორე თამაშში „ლივერპულმა“ 1:0 მოგვიგო და დამატებითშიც მაიკლ ოუენმა გაგვიტანა.

საფინალო სასტვენის შემდეგ მოედანზე შევედი და მაყურებელს ტაში დავუკარი, ლივერპულელი სტეფან ანშო კი მოვიდა და შემაფურთხა. ძლივს ავიცილე.

პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განვუცხადე, რომ „ლივერპულისგან“ უცხოელის ფურთხებაზე მეტს ველოდი. მეორე დღეს გაზეთებში დაწერეს, ფანატიკოსი და გიჟიაო.

სხვათა შორის, იმ ანშოს მაშინვე ვუთხარი ცუდი რაღაცები, თან ვიცოდი, რომ ის ნელი იყო და რომ გამომდევნებოდა, ვერ დამიჭერდა“.

**ბაჩუნა ძიდია**



# სხვანაირი რაიანი

**ნეტავ** რა არის ასეთი? კი ბატონო, ვიცით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ისტორიაში ბევრი სახელგანთქმული 9 ნომერი ყოფილა, მაგრამ პატარა ბავშვზე დიდ პრესაში რომ დაეწერათ, აი, კიდევ ერთი მათგანიო, პირველად ვნახეთ. თუმცა, შეიძლება ეს ჩვენ ვნახეთ პირველად, ვინმეს კი ადრეც უნახავს და თან მრავალჯერ...

ასეა თუ ისე, ვინაიდან ჩვენ ამით არაფერს ვკარგავთ, წარმოგიდგენთ: 9 წლის ავსტრალიელი რაიან დევისი. ამ ბიჭუნას თამაში ვიდეოზე გადაღებული და DVD-ზე ჩაწერილი ნიჭიერმა სკაუტებმა ალექს ფერგიუსონთან აფრინეს და... კონტრაქტიც გაიჩარხა.

ჩანაწერში „რიდლენდზ იუნაიტედის“ მეცხრე ნომერი 10-წლამდელთა შეჯიბრებაში თანატოლებს აცამტვერებს და რაც მთავარია, სტილით ძალიან ჰგავს უეინ რუნის. ამის შემყურე დიდმა ძიებმა ბიჭუნა მანჩესტერში დაიბარეს, გასინჯეს და თავზეც ხელი გადაუსვეს.

აღსანიშნავია, რომ პატარა რაიანს დედა ლია ჰყავს ინგლისელი და ამდენად დიდ ბრიტანეთში კონტრაქტის გაფორმების პრობლემა არ აქვს. აწ უკვე მანჩესტერელი ფეხბურთელი და მისი მამიკო მარკი ინგლისში, კერძოდ, ჩეშირში შარშან გადასახლდნენ, წლეულს კი მათ დედიკო, რივი და ემერსონიც შეუერთდნენ. და კიდევ, წესის თანახმად, ასე ყოფილა, რაიანი 12 წლისა რომ გახდება, მანჩესტერელი ძიები მაშინღა ეტყვიან, გადაჰყავთ სრულ „სტიპენდიაზე“ თუ ჯერ კიდევ „ბავშვად“ ტოვებენ.

ბოლოს კი იმას მოგახსენებთ, რომ ამ რაიანსა და ვეტერან გარეძარბ რაიან გიგზს შორის დიდი განსხვავებაა, მომავალი ვარსკვლავის სახელი იწერება Rhain, ხოლო წარმავალისა Ryan.



**ბაჩუნა ძიდია**



AFP

# ბიჭიც ათამაშეთ! ასე ყველასთან წავაგებთო

**კარლოს ტევესის** „ვესტ ჰემიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის საქმე რომ გაიწელა, „სარბიელის“ მკითხველთათვის კარგად არის ცნობილი. დღე არ გავა, ამ ფრონტიდან რაიმე სიახლე არ მოვიდეს. ხან რომელიღაც მხარე ჩივის სასამართლოში, ხან რა ხდება და ხან რა, თავად ფეხბურთელს კი აქამდე ხმა არ ამოუღია (ალბათ, აგენტები და იურისტები ურჩევდნენ ასე), ახლა კი 23 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა დუმილი დაარღვია.

„დიდი იმედი მქონდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში „ჩელსის“ წინააღმდეგ „ქომუნითი შილდზე“ ვითამაშებდი — თქვა ტევესმა — სამწუხაროდ, ეს იმედი გამიცრუვდა. ახლა ძალიან მინდა, ამ ისტორიაში მონაწილე ყველა მხარემ საერთო ენა გამონახოს და ჩემი ტრანსფერის საკითხი ისე მოგვარდეს. ჩემთვის მთავარია, დროულად გავიდე მოედანზე, რადგან თამაში მინდა. მთელ ამ ბიუროკრატიაზე კი არ ვარ პასუხისმგებელი“.

ერთი სიტყვით, ტევესი „ქომუნითი შილდზე“ ვერ ითამაშებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ალექს ფერგიუსონი „ჩელსის“ წინააღმდეგ, სავარაუდოდ, იმავე შემადგენლობას ათამაშებს, რომელმაც „ოლდ ტრაფორდზე“ ამხანაგურ შეხვედრაში „ინტერთან“ 2:3 წააგო.

„პირველ ტაიმში, რასაკვირველია, ცუდები ვიყავით — თქვა ფერგიუსონმა — თუ ასე გავაგრძელებთ, საერთოდ ვერავის მოვუგებთ. დაცვაში თუ გვქონდა პრობლემები? რასაკვირველია, ყველაფერი დაცვის ბრალი იყო. პირველ ტაიმში ძალიან მოვიშიშვლეთ ზურგი“.

73 ათასი გულშემატკივრის წინაშე სერია A-ს ჩემპიონმა პრემიერლიგის ჩემპიონს პირველ 17 წუთში სამი გოლი გაუტანა. საინტერესოა, რომ სამივეში პორტუგალიელი ვეტერანი ლუიშ ფიგუ მონაწილეობდა — პირველად მისი ჩაწოდებული ბურთი დავიდ სუაზომ შეაგდო, შემდეგ ფიგუმ ზლატან იბრაჰიმოვიჩი გაიყვანა საგოლე პოზიციაზე, მესამედ კი პორტუგალიელმა და იბრაჰიმოვიჩმა ისევ სუაზოს შეაგდებინეს მანჩესტერელთა კარში. ოღონდ, შეხვედრაში პირველი გოლი რაიან გიგზის პასით უეინ რუნიმ გაიტანა. მანჩესტერელთა მეორე გოლი კრიშტიანუ რონალდუს ჩაწოდებულზე ადრიანოს ავტოგოლი გახლდათ.

„იუნაიტედის“ შემადგენლობაში იყვნენ ცნობილი მცველები, ნემანია ვიდიჩი და რიო ფერდინანდი, ახალშეძენილებს, ოუენ ჰარგრივზს, ნანისა და ანდერსონს კი არ უთამაშიათ.

ფერგი ამბობს, რომ მათ დარჩენილ ამხანაგურებში, „დონკასტერისა“ და „პიტერბროს“ წინააღმდეგ ათამაშებს.

**ბაჩუნა ძიძია**



კარლოს ტევესი

## ბრაზილია

### სერია A. XVI ტური

გრიასი — პარანა 2:0; ნაუტიკო — ფლუმინენსე 0:0; ბოტაფოგო — ამერიკა 4:2; პალმეირასი — სპორტი 1:2; ატლეტიკო მნ — სანტოსი 1:2; ატლეტიკო პრ — კორინთიანსი 2:2; ინტერნასიონალი — ვასკუ და გამა 0:2

# ძამბროტა გამყრელიძის დასკვნას ეთანხმება

**ჯანლუკა ძამბროტა** მხარს უჭერს ლილიან ტურამს, რომელსაც „ბარსელონას“ სეზონისწინა ტურნე აზიაში არ მოსწონს.

„უკეთესი იქნებოდა, შინ დავრჩენილიყავით, რადგან იქაც კარგად მოვემზადებოდით. დიდი გზა გვაქვს გასავლელი და ფეხბურთელები იღლებიან“ — თქვა იტალიელმა მცველმა პრესკონფერენციაზე.

ტურამმა კი სამშაბათს განაცხადა: „არა მგონია, ეს კარგი იდეა იყოს, მაგრამ რას იზამ, ასეთია დღევანდელი ფეხბურთი და ყველა დიდი კლუბი ასე იქცევა“.

„ბარსას“ ზოგიერთმა ფეხბურთელმა, მათ შორის, რონალდინიომ შარშანდელი ტურნეც დაიწუნა. მაშინ გუნდი ორი კვირით აშშ-ში და მექსიკაში იყო. რონალდინიოს აზრით, მოგზაურობამ ბიჭები გამოფიტა და ამიტომაც ვერ მოიგეს გასულ სეზონში ვერაფერი.

„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ თქვა: „განსხვავებულ აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ორი წლის წინ სეზონისწინა პერიოდიც აზიაში გავატარეთ და მერე ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ. ასეთი ტურნეები კლუბის წარმოსაჩენად აუცილებელია“.

კატალონიური გუნდის ბოსებმა განაცხადეს, რომ შარშანდელი გაკვეთილი გაითვალისწინეს და მოგზაურობის ვადები შეამცირეს. „ბარსა“ გუშინ წავიდა აზიაში და 11 აგვისტოს დაბრუნდება.

**გაჟა ხუციშვილი**

# ღამე დავეხეტებით მთვრალი და მსუქანი ბრაზილია

**გაზეთ** „ესტადუ დე სან პაულუსთან“ ინტერვიუში რიკარდო ტეიშეირამ განაცხადა, რომ მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები სასტუმროში ხშირად გვარიანად გალეშილები ბრუნდებოდნენ.

„ზოგიერთი მოთამაშე სასტუმროში დილის 4-5 საათზე მთვრალი მოდიოდა. პირადად არ მინახავს, მაგრამ სანდო წყაროებიდან შევიტყვე. როგორც ჩანს, მწვრთნელთა შტაბმა კარგად იმუშავა საიმისოდ, რომ ეს ფაქტები მიეჩქმალა“ — თქვა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის შეფმა ტეიშეირამ.

შემდეგ მან რონალდოზეც ილაპარაკა, რომელიც ჩემპიონატის დაწყებამდე 98 კილოს იწონიდა.

„როგორ შეიძლება, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი ასე გასუქდეს? მე არ ვარ სპორტსმენი. და არც ახალგაზრდა, მაგრამ რონალდოზე ნაკლებს ვიწონი“.

**გაჟა ხუციშვილი**

## ბოჟინოვი გაფრინდა

**„ვიმედოვნებ,** რომ „ფიორენტინაში“ აღარასოდეს დავბრუნდები“ — უთხრა ვალერი ბოჟინოვმა „გაძეტა დელო [illegible]რეთში გაფრენამდე, სადაც აგენტთან ერთად მიემგზავრებოდა.

იტალიური მედიის ცნობით „იების“ [illegible] „მანჩესტერ სიტის“ და ინგლისური კლუბი მის სანაცვლოდ „ფიორენტინას“ 5 მილიონ 700 ათას გირვანქას გადაუხდის.

სიტელები ბოჟინოვის გარდა 22 წლის მცველ ხავი გარიდოსაც ყიდულობენ „სოსიედადიდან“, რომელიც სეგუნდა დივიზიონში გავარდა. გარიდოს ფასი 2 მილიონი ევროა.

## სათადარიგო ბუხარი

**სენეგალის** ნაკრებისა და პსჟ-ს მცველი ბუხარი დრამა „სოშოში“ გადავიდა, ოღონდ კლუბებმა გარიგების ფასი არ გაამხილეს.

გასულ სეზონში ფეხბურთელმა პარიზულ გუნდში 20 მატჩი ითამაშა, „სოშოსთან“ კი ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„პსჟ-ში ხშირად სათადარიგო ვიყავი, ახალ კლუბში კი ძირითად შემადგენლობაში თამაშს მპირდებიან“ — თქვა ბუხარიმ.

## ვაშაშელი ადამი

**„ვაშაშისა“** და უნგრეთის 21-წლამდელთა ნაკრების მეკარე ადამ ბოგდანი „ბოლტონმა“ იყიდა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა.

„მადლობა ყველას ნაკრებში თუ კლუბში — თქვა ბოგდანმა — მათ გარეშე ეს გარიგება არ შედგებოდა და ოცნება — პრემიერლიგაში თამაში — არ ამიხდებოდა. „ბოლტონს“ შეკრებაზე ორშაბათს შევუერთდები“.

## კოლინი კატეს მოეწონა

**„ნორვიჩის“** მცველი იურგენ კოლინი ამსტერდამის „აიაქსმა“ შეიძინა. ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა სამი კვირა გაატარა „აიაქსში“, მწვრთნელ ჰენკ ტენ კატეს თავი მოაწონა და ერთწლიანი კონტრაქტიც მიიღო გახანგრძლივების პერსპექტივით.

კოლინი „ნორვიჩში“ 2005 წელს „ფეიენოორდიდან“ გადავიდა და 60 მატჩი ითამაშა.

## ტურინელი აგენტი ჯანიკედა

**„იუვენტუსის“** ყოფილი ნახევარმცველი 32 წლის ჯულიანო ჯანიკედა „ლივორნოში“ გადავიდა. ფეხბურთელს „იუვესთან“ კონტრაქტი 22 ივლისს დაუსრულდა და თავისუფალი აგენტი გახდა.

ტურინულ კლუბში 2005 წელს მივიდა და მხოლოდ 22 მატჩში ითამაშა, უმეტესობა შეცვლაზე. მან ექვსი სეზონი „უდინეზეში“ და ოთხი „ლაციოში“ გაატარა.

## გიზას გზა მალიორკასკენ

**„ხეტაფეს“** ფორვარდი დანიელ გიზა „მალიორკამ“ 5 მილიონ ევროდ იყიდა. 26 წლის თავდამსხმელი ფანების ჯილა იყო, მაგრამ ხუთი წელი გაატარა „ხეტაფეში“ და წასვლა სურდა.

გუნდს გასულ სეზონში ბერნდ შუსტერი წვრთნიდა, რომელიც „რეალში“ წავიდა და მისი ადგილი მიქაელ ლაუდრუპმა დაიკავა.

გიზას შეძენა ყაზანის „რუბინსაც“ უნდოდა, მაგრამ ფეხბურთელი ესპანეთში დარჩა და „მალიორკასთან“ ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა.

## დელურამ ვერ გაამართლა

**„შალკეს“** ფორვარდი მიხაელ დელურა ბერძნულმა „პანიონიოსმა“ შეიძინა. 22 წლის ფეხბურთელმა გუშინწინ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

დელურამ გუნდის შეცვლა გადაწყვიტა, რადგან მწვრთნელმა მირკო სლომკამ უთხრა, რომ მის გეგმებში არ შედის. ფორვარდს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ვერ გაამართლა. იგი „მიონხენგლადბახში“ და „ჰანოვერში“ იყო განათხოვრებული.

## პლასენტე მარცხნივ

**დაცვის** მარცხენა ფლანგის გასაძლიერებლად „ლივერპულს“ „სელტადან“ დიეგო პლასენტეს შეძენა უნდა.

არგენტინელ ფეხბურთელს გულზე არ ეხატება სეგუნდა დივიზიონი, რომელშიც „სელტა“ ითამაშებს და ესპანეთიდან აბარგებას ლამობს.

გარდა ამისა, „ლივერპული“ „უიგანის“ მცველ ლეიტონ ბეინსსაც უთვალთვალებს. ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების წევრი 6 მილიონ გირვანქადაა შეფასებული.

მისი გადაბირება „ევერტონსაც“ სურს.

## გარსია ვისია?

**COAL.COM-ის** ცნობით, მადრიდის „ატლეტიკო“ თანაქალაქელი „რეალისგან“ ხავი გარსიას ყიდვას აპირებს. იგი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეცაა და „ათლეტები“ „რეალს“ შარშანდელის მსგავს გარიგებას სთავაზობენ. შარშან მანუელ ხურადო იყიდეს თანაქალაქელებისგან და ორი წლის განმავლობაში გამოსყიდვის უფლება დაუტოვეს.

გარსიათი ადრე „ლივერპულიც“ იყო დაინტერესებული, მაგრამ საქმე ტრანსფერამდე არ მისულა.

**გაჟა ხუციშვილი**

წლეულს რომან აბრამოვიჩმა ჯიბეები ამოიკერა — „ჩელსის“ აღარ დაუხარჯავს მილიონები სუპერვარსკვლავების შესაძენად და ამიტომაცაა, რომ ჟოზე მაურინიუზე და მის გუნდზე მედიაში ნაკლებად ლაპარაკობენ. სამაგიეროდ, კლუბის ავანჩავანზე „ჩელსი TV“-სთან ისაუბრა აღმასრულებელმა შეფმა პიტერ კინიონმა, რომლის ინტერვიუსაც შემოკლებით გთავაზობთ...



# არ ვხარჯავთ, მაგრამ ვგეგმავთ
## ჩელსი ჩუმად მუშაობს

— რომან აბრამოვიჩის მოსვლის დღიდან ყოველ ზაფხულს ბევრი რამ იცვლებოდა გუნდში, ამჯერად კი სიწყნარე და სტაბილურობაა. რამდენად მნიშვნელოვანია, რომ გუნდის მწვრთნელი ისევ ჟოზე მაურინიუა?

| 16003 | გრეტნა-ფოლკირკი | 1.75 | 1.85 |
| 16004 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1.30 | 3.00 |
| 16005 | ინვერნესი-რეინჯერსი | 4.10 | 1.17 |
| 16006 | სტ.მირენი-მოზერუელი | 1.62 | 2.05 |
| 16034 | შტურმი-ზალცბურგი | 2.20 | 1.52 |
| 16036 | ლინცერი-რიდი | 1.52 | 2.20 |
| 16051 | სიონი-ქსამაქსი | 1.23 | 3.60 |
| 16052 | სტ-გალენი-ლუცერნი | 1.30 | 3.00 |
| 16053 | ციურიხი-თუნი | 1.11 | 5.70 |
| 16054 | აარაუ-გრასჰოპერი | 1.70 | 1.95 |
| 16055 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.05 | 1.65 |
| 16078 | ლილი-ლორიანი | 1.24 | 3.60 |
| 16080 | პსჟ-სოშო | 1.24 | 3.60 |
| 16084 | ლიონი-ოსერი | 1.10 | 5.50 |
| 16096 | შარლერუა-რუზელარე | 1.14 | 4.70 |
| 16097 | ბრიუგე-მონსი | 1.11 | 5.70 |
| 16098 | დენდერი-ბეერსხოტი | 2.20 | 1.52 |
| 16099 | ბრიუსელი-ვესტერლო | 1.55 | 2.20 |
| 16100 | გენკი-სერკლი | 1.10 | 5.50 |
| 16101 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1.34 | 2.80 |
| 16102 | მეხელენი-ანდერლეხტი | 4.10 | 1.17 |
| 16103 | მუსკრონი-გენტი | 1.70 | 1.95 |
| 16104 | ვარეგემი-სტანდარდი | 1.95 | 1.65 |
| 16148 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 3.60 | 1.23 |
| 16149 | ესბიერგი-რანდერსი | 1.30 | 3.00 |
| 16150 | ჰორსენსი-ოლბორგი | 2.20 | 1.55 |
| 16151 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1.11 | 5.70 |
| 16152 | ბრიონდბიუ-ლიუნგბიუ | 1.14 | 4.70 |
| 16153 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.17 | 4.10 |
| 16162 | ფრედრიკსტადი-ალესუნდი | 1.24 | 3.60 |
| 16163 | ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი | 1.22 | 3.40 |
| 16164 | ოდ გრენლანდი-ლინი | 1.50 | 2.30 |
| 16165 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1.32 | 3.00 |
| 16166 | სანდეფიორდი-ვიკინგი | 1.95 | 1.65 |
| 16167 | სტარტი-ტრომსიო | 1.55 | 2.20 |
| 16168 | ვოლერენგა-ბრანი | 1.75 | 1.85 |
| 16169 | ჰამარი-კონგსვინგერი | 1.10 | 5.50 |
| 16170 | ჰონეფოსი-ტრომსდალენი | 1.25 | 3.40 |
| 16171 | ლოვ ჰამ-რაუფოსი | 1.22 | 3.40 |
| 16172 | მანდალი-ბოდიო გლიმტი | 3.60 | 1.23 |
| 16173 | მოსი-მოლდე | 1.95 | 1.65 |
| 16174 | ნოტოდენი-სკეიდი | 1.22 | 3.40 |
| 16175 | სოგნდალი-ბრინი | 1.40 | 2.55 |
| 16176 | სპარტა ს-ჰაუგესუნდი | 1.55 | 2.20 |
| 16181 | ელფსბორგი-კალმარი | 1.40 | 2.55 |
| 16182 | იორებრო-ჰამარბი | 1.95 | 1.65 |
| 16183 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1.95 | 1.65 |
| 16184 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.12 | 4.60 |
| 16185 | გაის-იურგორდენი | 1.82 | 1.82 |
| 16193 | დეგერფორსი-იორგრიტე | 1.80 | 1.85 |
| 16194 | ბანკეფლო-იონკოპინგი | 1.62 | 2.05 |
| 16195 | ენჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.62 | 2.05 |
| 16196 | ჰეკენი-იოსტერსი | 1.25 | 3.40 |
| 16197 | ლიუნგსკილე-სირიუსი | 1.34 | 2.80 |
| 16198 | მიალბი-სუნდსვალი | 1.55 | 2.20 |
| 16200 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2.20 | 1.50 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | სელტიკი-კილმარნოკი | 2.10 | 1.45 |
| 12003 | გრეტნა-ფოლკირკი | 1.60 | 1.85 |
| 12004 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 1.65 | 1.80 |
| 12005 | ინვერნესი-რეინჯერსი | 1.80 | 1.65 |
| 12006 | სტ.მირენი-მოზერუელი | 1.50 | 2.00 |
| 12034 | შტურმი-ზალცბურგი | 1.85 | 1.60 |
| 12036 | ლინცერი-რიდი | 1.75 | 1.70 |
| 12051 | სიონი-ქსამაქსი | 1.80 | 1.65 |
| 12052 | სტ-გალენი-ლუცერნი | 1.80 | 1.65 |
| 12053 | ციურიხი-თუნი | 2.00 | 1.50 |
| 12054 | აარაუ-გრასჰოპერი | 1.80 | 1.65 |
| 12055 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.00 | 1.50 |
| 12080 | პსჟ-სოშო | 1.55 | 1.90 |
| 12084 | ლიონი-ოსერი | 1.70 | 1.75 |
| 12096 | შარლერუა-რუზელარე | 1.85 | 1.60 |
| 12097 | ბრიუგე-მონსი | 1.90 | 1.55 |
| 12098 | დენდერი-ბეერსხოტი | 1.75 | 1.70 |
| 12099 | ბრიუსელი-ვესტერლო | 1.70 | 1.75 |
| 12100 | გენკი-სერკლი | 1.90 | 1.55 |
| 12101 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1.70 | 1.75 |
| 12102 | მეხელენი-ანდერლეხტი | 1.90 | 1.55 |
| 12103 | მუსკრონი-გენტი | 1.85 | 1.60 |
| 12104 | ვარეგემი-სტანდარდი | 1.80 | 1.65 |
| 12148 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.60 |
| 12149 | ესბიერგი-რანდერსი | 1.90 | 1.55 |
| 12150 | ჰორსენსი-ოლბორგი | 1.85 | 1.60 |
| 12151 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 2.00 | 1.50 |
| 12152 | ბრიონდბიუ-ლიუნგბიუ | 2.00 | 1.50 |
| 12153 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 2.00 | 1.50 |
| 12162 | ფრედრიკსტადი-ალესუნდი | 2.00 | 1.50 |
| 12163 | ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი | 2.00 | 1.50 |
| 12164 | ოდ გრენლანდი-ლინი | 1.85 | 1.60 |
| 12165 | რუსენბორგი-სტაბეკი | 2.00 | 1.45 |
| 12166 | სანდეფიორდი-ვიკინგი | 2.00 | 1.45 |
| 12167 | სტარტი-ტრომსიო | 1.90 | 1.55 |
| 12168 | ვოლერენგა-ბრანი | 1.90 | 1.55 |
| 12169 | ჰამარი-კონგსვინგერი | 2.00 | 1.30 |
| 12170 | ჰონეფოსი-ტრომსდალენი | 2.00 | 1.45 |
| 12171 | ლოვ ჰამ-რაუფოსი | 2.00 | 1.45 |
| 12172 | მანდალი-ბოდიო გლიმტი | 2.00 | 1.25 |
| 12173 | მოსი-მოლდე | 2.00 | 1.45 |
| 12174 | ნოტოდენი-სკეიდი | 2.00 | 1.45 |
| 12175 | სოგნდალი-ბრინი | 2.00 | 1.35 |
| 12176 | სპარტა ს-ჰაუგესუნდი | 2.00 | 1.40 |
| 12181 | ელფსბორგი-კალმარი | 1.70 | 1.75 |
| 12182 | იორებრო-ჰამარბი | 1.70 | 1.75 |
| 12183 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1.80 | 1.65 |
| 12184 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.70 | 1.75 |
| 12185 | გაის-იურგორდენი | 1.60 | 1.80 |
| 12193 | დეგერფორსი-იორგრიტე | 1.75 | 1.70 |
| 12194 | ბანკეფლო-იონკოპინგი | 1.75 | 1.70 |
| 12195 | ენჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.75 | 1.70 |
| 12196 | ჰეკენი-იოსტერსი | 1.70 | 1.75 |
| 12197 | ლიუნგსკილე-სირიუსი | 1.70 | 1.75 |
| 12198 | მიალბი-სუნდსვალი | 1.80 | 1.60 |
| 12199 | სილვია-ფალკენბერგი | 1.80 | 1.60 |
| 12200 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.90 | 1.55 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | სელტიკ-კილმარნოკი | 1.40 | 2.70 | 7.00 | 1.00 | 1.16 | 1.94 |
| 10003 | გრეტნა-ფოლკირკი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10004 | პართსი-ჰიბერნიანი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10005 | ინვერნესი-რეინჯერსი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10006 | სტ.მირენი-მოზერუელი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10034 | შტურმი-ზალცბურგი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10036 | ლინცერი-რიდი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10051 | სიონი-ქსამაქსი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10052 | სტ.გალენი-ლუცერნი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10053 | ციურიხი-თუნი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10054 | აარაუ-გრასჰოპერი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10055 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 3.30 | 2.00 | 2.65 | 1.24 | 1.46 | 1.13 |
| 10078 | ლილი-ლორიანი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10080 | პსჟ-სოშო | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10084 | ლიონი-ოსერი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10096 | შარლერუა-რუზელარე | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10097 | ბრიუგე-მონსი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10098 | დენდერი-ბეერსხოტი | 3.50 | 2.00 | 2.50 | 1.27 | 1.45 | 1.11 |
| 10099 | ბრიუსელი-ვესტერლო | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10100 | გენკი-სერკლი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10101 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10102 | მეხელენი-ანდერლეხტი | 5.50 | 2.10 | 1.85 | 1.51 | 1.38 | 1.00 |
| 10103 | მუსკრონი-გენტი | 2.80 | 2.00 | 3.05 | 1.16 | 1.45 | 1.20 |
| 10104 | ვარეგემი-სტანდარდი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10148 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |
| 10149 | ესბიერგი-რანდერსი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10150 | ჰორსენსი-ოლბორგი | 3.45 | 2.00 | 2.55 | 1.26 | 1.46 | 1.12 |
| 10151 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1.75 | 2.30 | 6.50 | 1.00 | 1.37 | 1.69 |
| 10152 | ბრიონდბიუ-ლიუნგბიუ | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10153 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.95 | 2.20 | 5.50 | 1.03 | 1.43 | 1.57 |
| 10162 | ფრედრიკსტადი-ალესუნდი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |
| 10163 | ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10164 | ოდ გრენლანდი-ლინი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10165 | რუსენბორგი-სტაბეკი | 2.25 | 2.00 | 4.40 | 1.05 | 1.48 | 1.37 |
| 10166 | სანდეფიორდი-ვიკინგი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10167 | სტარტი-ტრომსიო | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10168 | ვოლერენგა-ბრანი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10169 | ჰამარი-კონგსვინგერი | 1.65 | 2.30 | 6.80 | 1.00 | 1.32 | 1.71 |
| 10170 | ჰიონეფოსი-ტრომსდალენი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10171 | ლოვ ჰამი-რაუფოსი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10172 | მანდალი-ბოდიო გლიმტი | 5.20 | 2.20 | 1.90 | 1.54 | 1.39 | 1.01 |
| 10173 | მოსი-მოლდე | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10174 | ნოტოდენი-სკეიდი | 2.00 | 2.20 | 5.30 | 1.04 | 1.45 | 1.55 |
| 10175 | სოგნდალი-ბრინი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10176 | სპარტა ს-ჰაუგესუნდი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10181 | ელფსბორგი-კალმარი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10182 | იორებრო-ჰამარბი | 3.20 | 2.00 | 2.75 | 1.23 | 1.47 | 1.15 |
| 10183 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 3.15 | 2.00 | 2.80 | 1.22 | 1.48 | 1.16 |
| 10184 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10185 | გაის-იურგორდენი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10193 | დეგერფორსი-იორგრიტე | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10194 | ბანკეფლო-იონკოპინგი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10195 | ენჩიოპინგი-ლანდსკრონა | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10196 | ჰეკენი-იოსტერსი | 2.15 | 2.10 | 4.60 | 1.06 | 1.46 | 1.44 |
| 10197 | ლიუნგსკილე-სირიუსი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10198 | მიალბი-სუნდსვალი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10199 | სილვია-ფალკენბერგი | 2.50 | 2.00 | 3.60 | 1.11 | 1.47 | 1.28 |
| 10200 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 3.60 | 2.00 | 2.40 | 1.28 | 1.44 | 1.09 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | გრეტნა-ფოლკირკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | პართსი-ჰიბერნიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ინვერნესი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | სტ.მირენი-მოზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15034 | შტურმი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15036 | ლინცერი-რიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | სიონი-ქსამაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | სტ.გალენი-ლუცერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | აარაუ-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15055 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | ლილი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | პსჟ-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | შარლერუა-რუზელარე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | დენდერი-ბეერსხოტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | ბრიუსელი-ვესტერლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15101 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | მეხელენი-ანდერლეხტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | მუსკრონი-გენტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ვარეგემი-სტანდარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | ესბიერგი-რანდერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ჰორსენსი-ოლბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | ბრიონდბიუ-ლიუნგბიუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15153 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | ფრედრიკსტადი-ალესუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15164 | ოდ გრენლანდი-ლინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15165 | რუსენბორგი-სტაბეკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15166 | სანდეფიორდი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15167 | სტარტი-ტრომსიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15168 | ვოლერენგა-ბრანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15170 | ჰიონეფოსი-ტრომსდალენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15171 | ლოვ ჰამი-რაუფოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15173 | მოსი-მოლდე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15174 | ნოტოდენი-სკეიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15175 | სოგნდალი-ბრინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15176 | სპარტა ს-ჰაუგესუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | იორებრო-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | გაის-იურგორდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15193 | დეგერფორსი-იორგრიტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | ბანკეფლო-იონკოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15195 | ენჩიოპინგი-ლანდსკრონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | ჰეკენი-იოსტერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | ლიუნგსკილე-სირიუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | მიალბი-სუნდსვალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | სილვია-ფალკენბერგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | გრეტნა-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 14004 | პართსი-ჰიბერნიანი | 1.65 | 2.30 |
| 14005 | ინვერნესი-რეინჯერსი | 2.60 | 1.20 |
| 14006 | სტ.მირენი-მოზერუელი | 1.80 | 2.00 |
| 14034 | შტურმი-ზალცბურგი | 2.20 | 1.70 |
| 14036 | ლინცერი-რიდი | 1.75 | 2.10 |
| 14051 | სიონი-ქსამაქსი | 1.45 | 2.40 |
| 14052 | სტ.გალენი-ლუცერნი | 1.65 | 2.30 |
| 14053 | ციურიხი-თუნი | 1.20 | 2.60 |
| 14054 | აარაუ-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 14055 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 2.00 | 1.80 |
| 14078 | ლილი-ლორიანი | 1.45 | 2.40 |
| 14080 | პსჟ-სოშო | 1.45 | 2.40 |
| 14084 | ლიონი-ოსერი | 1.20 | 2.60 |
| 14096 | შარლერუა-რუზელარე | 1.30 | 2.50 |
| 14097 | ბრიუგე-მონსი | 1.20 | 2.60 |
| 14098 | დენდერი-ბეერსხოტი | 2.20 | 1.70 |
| 14099 | ბრიუსელი-ვესტერლო | 1.80 | 2.00 |
| 14100 | გენკი-სერკლი | 1.20 | 2.60 |
| 14101 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1.70 | 2.20 |
| 14102 | მეხელენი-ანდერლეხტი | 2.60 | 1.20 |
| 14103 | მუსკრონი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 14104 | ვარეგემი-სტანდარდი | 2.10 | 1.75 |
| 14148 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 2.50 | 1.30 |
| 14149 | ესბიერგი-რანდერსი | 1.65 | 2.30 |
| 14150 | ჰორსენსი-ოლბორგი | 2.20 | 1.70 |
| 14151 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1.20 | 2.60 |
| 14152 | ბრიონდბიუ-ლიუნგბიუ | 1.30 | 2.50 |
| 14153 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.30 | 2.50 |
| 14162 | ფრედრიკსტადი-ალესუნდი | 1.45 | 2.40 |
| 14163 | ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი | 1.30 | 2.50 |
| 14164 | ოდ გრენლანდი-ლინი | 1.75 | 2.10 |
| 14165 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1.65 | 2.30 |
| 14166 | სანდეფიორდი-ვიკინგი | 2.10 | 1.75 |
| 14167 | სტარტი-ტრომსიო | 1.80 | 2.00 |
| 14168 | ვოლერენგა-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 14169 | ჰამარი-კონგსვინგერი | 1.20 | 2.60 |
| 14170 | ჰიონეფოსი-ტრომსდალენი | 1.45 | 2.40 |
| 14171 | ლოვ ჰამი-რაუფოსი | 1.30 | 2.50 |
| 14172 | მანდალი-ბოდიო გლიმტი | 2.60 | 1.20 |
| 14173 | მოსი-მოლდე | 2.20 | 1.70 |
| 14174 | ნოტოდენი-სკეიდი | 1.30 | 2.50 |
| 14175 | სოგნდალი-ბრინი | 1.70 | 2.20 |
| 14176 | სპარტა ს-ჰაუგესუნდი | 1.80 | 2.00 |
| 14181 | ელფსბორგი-კალმარი | 1.70 | 2.20 |
| 14183 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 2.00 | 1.80 |
| 14184 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.20 | 2.60 |
| 14193 | დეგერფორსი-იორგრიტე | 2.00 | 1.80 |
| 14194 | ბანკეფლო-იონკოპინგი | 1.80 | 2.00 |
| 14195 | ენჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.80 | 2.00 |
| 14196 | ჰეკენი-იოსტერსი | 1.45 | 2.40 |
| 14197 | ლიუნგსკილე-სირიუსი | 1.70 | 2.20 |
| 14198 | მიალბი-სუნდსვალი | 1.80 | 2.00 |
| 14199 | სილვია-ფალკენბერგი | 1.75 | 2.10 |
| 14200 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 2.20 | 1.70 |

## გოლი:წყვილი-1ლი კენტი-2

(0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | სელტიკ-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17003 | გრეტნა-ფოლკირკი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | პართსი-ჰიბერნიანი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ინვერნესი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | სტ.მირენი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17034 | შტურმი-ზალცბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17036 | ლინცერი-რიდი | 1.85 | 1.95 |
| 17051 | სიონი-ქსამაქსი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | სტ.გალენი-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | ციურიხი-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | აარაუ-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | იანგ ბოიზი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17078 | ლილი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | პსჟ-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17084 | ლიონი-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17096 | შარლერუა-რუზელარე | 1.85 | 1.95 |
| 17097 | ბრიუგე-მონსი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | დენდერი-ბეერსხოტი | 1.85 | 1.95 |
| 17099 | ბრიუსელი-ვესტერლო | 1.85 | 1.95 |
| 17100 | გენკი-სერკლი | 1.85 | 1.95 |
| 17101 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1.85 | 1.95 |
| 17102 | მეხელენი-ანდერლეხტი | 1.85 | 1.95 |
| 17103 | მუსკრონი-გენტი | 1.85 | 1.95 |
| 17104 | ვარეგემი-სტანდარდი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ორჰუსი-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 17149 | ესბიერგი-რანდერსი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ჰორსენსი-ოლბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | მიდტიულანდი-ვიბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17152 | ბრიონდბიუ-ლიუნგბიუ | 1.85 | 1.95 |
| 17153 | ოდენსე-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | ფრედრიკსტადი-ალესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ლილესტრიომი-სტრიომგოდსეტი | 1.85 | 1.95 |
| 17164 | ოდ გრენლანდი-ლინი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | რუსენბორგი-სტაბეკი | 1.85 | 1.95 |
| 17166 | სანდეფიორდი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | სტარტი-ტრომსიო | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ვოლერენგა-ბრანი | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ჰამარი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17170 | ჰიონეფოსი-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | ლოვ ჰამი-რაუფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17172 | მანდალი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 17173 | მოსი-მოლდე | 1.85 | 1.95 |
| 17174 | ნოტოდენი-სკეიდი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | სოგნდალი-ბრინი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | სპარტა ს-ჰაუგესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | ელფსბორგი-კალმარი | 1.85 | 1.95 |
| 17182 | იორებრო-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17183 | ტრელებორგი-ჰალმსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | აიკ-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.95 |
| 17185 | გაის-იურგორდენი | 1.85 | 1.95 |
| 17193 | დეგერფორსი-იორგრიტე | 1.85 | 1.95 |
| 17194 | ბანკეფლო-იონკოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17195 | ენჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |
| 17196 | ჰეკენი-იოსტერსი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ლიუნგსკილე-სირიუსი | 1.85 | 1.95 |
| 17198 | მიალბი-სუნდსვალი | 1.85 | 1.95 |
| 17199 | სილვია-ფალკენბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17200 | ატვიდაბერგი-ნორჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მერიის თასი. თბილისი. 31 ივლისი-5 აგვისტო ITF-ის კაცთა ტურნირი. ჰარდი. საპრიზო 15000$



**მეორე წრე**

ლადო ჩიხლაძე (4, საქართველო) — რადუ ალბოტი (მოლდოვა) 7:6(3) 6:1
ივან სეროვიჩი (1, ხორვატია) — გიორგი ხრიკაძე (საქართველო) 6:1 6:3
კლემან მორელი (3, საფრანგეთი) — გიორგი ჭანტურია (საქართველო) 6:1 6:1
ჯეიმს კლუსკი (ირლანდია) — სირუმ აბდულხალიკოვი (6, ყაზახეთი) 6:2 6:4
შარლ როშე (7, საფრანგეთი) — ალექსეი ბესონოვი (ბელარუსი) 6:1 6:4
ვლადისლავ ბონდარენკო (5, უკრაინა) — ივან ანიკანოვი (უკრაინა) 6:3 6:2
პეტერ კლარკი (ირლანდია) — მიხაილ ელგინი (2, რუსეთი) 6:2 6:1

# ლადო ისევ მარტოა

**იან ჰომერის** სახელობის კორტებზე გუშინ „მერიის თასის" მეორე წრე მთლიანად ჩათამაშდა და ტურნირს რვა ჩოგბურთელიღა შერჩა. საინტერესოა, რომ ყველა მოგებულმა ორ სეტში მოამთავრა საქმე. ორმა განთესილმა თასზე ფიქრი დაასრულა, ქართული სამეულიდან კი მეორე წრე მხოლოდ ერთმა გადალახა.

ცენტრალურ კორტზე პირველი გიორგი ჭანტურია გავიდა. იგი ტურნირის მესამე ნომერს, „კოკა-კოლას" ფინალისტ ფრანგს კლემენ მორელს დაუპირისპირდა, მაგრამ ორ სეტში მხოლოდ ორ გეიმს გამორჩა. გიორგი ხრიკაძე სულაც პირველ ნომერს, ხორვატ ივან სეროვიჩს შეხვდა. პირველი სეტი მანაც 1:6 წააგო, მეორეში მეშვიდე გეიმამდე ტოლსწორად იბრძოლა, მერე კი ახმახმა ხორვატმა საბოლოო უპირატესობა მოიპოვა და მეოთხედფინალიც გაინაღდა.

დღის მთავარი სენსაციაც ცენტრალურ კორტზე მოხდა. მეორე ნომრად განთესილ რუს მიხაილ ელგინს გასული კვირის შედეგიც კი სანატრელი გაუხდა. თუ „კოკა-კოლას" თასზე მეოთხედფინალში ჩარჩა, ამჯერად მეორე წრეს ვეღარ გასცდა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ მოგების პაწაწინა შანსიც არ მისცემია. ირლანდიელმა პეტერ კლარკმა სულ რაღაც ორმოცდაათ წუთში გაანადგურა — 6:2 6:1.

საუკეთესო ქართველი მერიის თასზეც ლადო ჩიხლაძეა. მეოთხე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა გუშინ ძირითად ბადეში საკვალიფიკაციოდან მოხვედრილ მოლდოველ რადუ ალბოტს აჯობა. შეხვედრა სტუმრის მოწოდებით და აღებული ქულით დაიწყო. ლადომ ანგარიში საფირმო ეისებით უმალ გაათანაბრა. ლამის საათნახევრიანი სეტი ტაიბრეიკამდე ისე მივიდა, ქართველ-მოლდოველმა მხოლოდ თავიანთი მოწოდებები აიღეს. თუ ჩიხლაძე საქმეს უპრობლემოდ აკეთებდა, ალბოტი, ძირითადად, შეუპოვარი და თავგანწირული თამაშის ხარჯზე ახერხებდა ბალანსის შენარჩუნებას. ბრეიკთან ჩვენებური რამდენჯერმე ძალიან ახლოს იყო. ორჯერ 40:0-საც იგებდა, მაგრამ ჩია რადუმ ორჯერვე სათავისოდ შეატრიალა გეიმი. ტაიბრეიკში კი ჩიხლაძემ აშკარად გატეხა მეტოქე.

მეორე სეტში ალბოტმა მხოლოდ დასაწყისში გაიბრძოლა, ერთი 0:40-იც შემოატრიალა და ლადოს გულშემატკივრებისგანაც კი ალალი ოვაციები დაიმსახურა. თუმცა ეს ბოლო გაბრძოლება იყო და ჩიხლაძის დაწოლას მეტად ვეღარ გაუძლო. ეს ანგარიშიდანაც ჩანს — 6:1.

მეორე წრეში ჩარჩა ტურნირის მეექვსე ნომერი, ყაზახი სირუმ აბდულხალიკოვი და ისიც ირლანდიელმა ჩოგბურთელმა გაამწარა. ჯეიმს კლუსკიმ მთლად კლარკის სტილში ვერა, მაგრამ მაინც დამაჯერებლად მოიგო. თავისზე გამოცდილ და მაღალრეიტინგიან ყაზახს იოლი პირველი სეტის შემდეგ მეორეში ტაიბრეიკში სძლია.

მეოთხედფინალები დღესაა და ლადო ჩიხლაძე მეშვიდედ განთესილ ფრანგ შარლ როშეს ეთამაშება, რომელმაც გუშინ კვალიფიკაციაგავლილი ბელარუსი ალექსეი ბესონოვი დაამარცხა — 6:1 6:4.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# იღბლიანი ჰაასი

**კაცები**
ვაშინგტონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

**მეორე წრე**

ტომი ჰაასი (2, გერმანია) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 6:3 6:2; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — არნო კლემანი (4, საფრანგეთი) 1:6 6:3 6:4; მიხაელ ბერერი (გერმანია) — მარდი ფიში (6, აშშ) 7:6 6:4; ივო კარლოვიჩი (7, ხორვატია) — ევგენი კოროლიოვი (რუსეთი) 6:3 6:3; ჯონ იზნერი (აშშ) — ბენჯამინ ბეკერი (8, გერმანია) 3:6 7:5 7:6; უეინ ოდესნიკი (აშშ) — ხუან მარტინ დელ პოტრო (10, არგენტინა) 3:6 7:6 6:3; ჟულიენ ბენეტო (11, საფრანგეთი) — კეი ნისიკორი (იაპონია) 6:2 6:3; ვინსენ სპადეა (12, აშშ) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 7:6; რადეკ შტეპანეკი (15, ჩეხეთი) — პოლ გოლდსტინი (აშშ) 6:3 4:6 6:4; მაიკლ რასელი (16, აშშ) — ვესლი ვაიტჰაუზი (სამხრეთ აფრიკა) 7:6 4:1 (უარი)

მე-2 ნომრად განთესილ გერმანელ ტომი ჰაასს ბედი ჰქონია, კოლუმბიელ ალეხანდრო ფალას რომ მოუგო. ბედი რა შუაშიაო, იკითხავს მკითხველი და სამართლიანადაც — ჰაასი ხომ ფალას გაცილებით აღემატება კლასით და რომ წაეგო, ის იქნებოდა უცნაურობა. საქმე იმაშია, რომ ამ კონკრეტულ სათამაშო დღეს, ვაშინგტონის მაგარსაფარიდან წყვილ ნომრად განთესილები დაიფრინეს და ჰაასი კი გადარჩა.

თავად განსაჯეთ — წააგეს მე-4, მე-6, მე-8 და მე-10 ნომრებად განთესილებმა. მე-4 ნომერს, ფრანგ არნო კლემანს ვეტერანმა შვედმა, ავსტრალიის ღია პირველობის ოდინდელმა გამარჯვებულმა ტომას იოჰანსონმა აჯობა, მე-6 ნომრად განთესილი ამერიკელი მარდი ფიში გერმანელმა მიხაელ ბერერმა შეარცხვინა და მე-8 და მე-10 ნომრები კი, გერმანელი ბენჯამინ ბეკერი და არგენტინელი ხუან მარტინ დე პოტრო სულაც უცნობ ამერიკელებთან, შესაბამისად ჯონ იზნერთან და უეინ ოდესნიკთან დამარცხდნენ. ამ იზნერთან და ოდესნიკთან შედარებით ფალა ჩოგბურთის გიგანტად მოჩანს და ამ ფონზე, მოდი და ნუ იტყვი, რომ ჰაასს ბედმა გაუღიმა.



ტომი ჰაასი

**კაცები**
სოპოტი. პოლონეთი. თიხნარი
საპრიზო 425 250 €

**მეორე წრე**

ფლორიან მაიერი (7, გერმანია) — ოლივიე პატიენი (საფრანგეთი) 6:1 6:1; ჟილ სიმონი (საფრანგეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:4 4:6 6:3; ხოსე აკასუსო (არგენტინა) — სერხიო როიტმანი (არგენტინა) 6:4 6:4; იგორ ანდრეევი (რუსეთი) — მიხალ პრჟიზიეჟნი (პოლონეთი) 6:4 2:6 7:5

პოლონურ სოპოტში, სადაც ნელი კორტების მოყვარულნი თიხნარს ემშვიდობებიან, ოთხი მეოთხედფინალისტის ვინაობა გაირკვა. მას შემდეგ, რაც პირველ წრეში რვა განთესილიდან ერთბაშად ხუთი დამარცხდა, ამ ჯერზე მეტი მოულოდნელობა აღარ მომხდარა და ტურნირის მე-7 ნომერმა, გერმანელმა ფლორიან მაიერმა უპრობლემოდ გაიარა ფრანგი ოლივიე პატიენი.

მეოთხედფინალში მაიერი არგენტინელ ხოსე აკასუსოს დაუპირისპირდება, ხოლო კიდევ ერთი მეოთხედფინალური წყვილი რუსმა იგორ ანდრეევმა და ფრანგმა ჟილ სიმონმა შეადგინეს.

**ქალები**
სან დიეგო. აშშ. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 $

**მეორე წრე**

მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:1 6:3; ანა ჩაკვეტაძე (3, რუსეთი) — მეგან შონესი (აშშ) 6:4 6:4; დანიელა ჰანტუხოვა (6, სლოვაკეთი) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6:3 1:6 6:1; დინარა საფინა (8, რუსეთი) — კამილ პინი (საფრანგეთი) 6:1 6:4; ელენა დემენტიევა (9, რუსეთი) — ანჯელიკა კერბერი (გერმანია) 6:1 6:2; ვინუს უილიამსი (10, აშშ) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:2 6:4; პატი შნიდერი (11, შვეიცარია) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 6:2 6:0; ტატიანა გოლოვინი (13, საფრანგეთი) — ან კრემერი (ლუქსემბურგი) 6:1 4:6 6:2; კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — ალიონა ბონდარენკო (14, უკრაინა) 6:3 6:1; აი სუგიამა (იაპონია) — სიბილ ბამერი (15, ავსტრია) 6:2 7:6; მარია კირილენკო (რუსეთი) — ლუსი შაფაროვა (16, ჩეხეთი) 6:4 7:6; სანია მირზა (ინდოეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 7:6 6:3.

თუ ბოლო ნომრებად განთესილების — უკრაინელი ბონდარენკოს, ავსტრიელი ბამერისა და ჩეხი შაფაროვას მარცხს არ ჩავთვლით, სან დიეგოში მოულოდნელი არაფერი მომხდარა — ბოლოებმა უპრობლემოდ გააღწიეს მესამე წრეში და სამ-სამი სეტის თამაში მხოლოდ დანიელა ჰანტუხოვასა და ტატიანა გოლოვინს დასჭირდათ.

გრძელდება ანა ჩაკვეტაძის ტრიუმფალური სვლა ამერიკულ მაგარსაფარზე. საზაფხულო ჰარდის სეზონი ანამ მიყოლებით ორი ტურნირის მოგებით დაიწყო და სან დიეგოშიც წარმატებით აიღო სტარტი, როდესაც მეგან შონესის სძლია და მოგებათა სერია 11 მატჩამდე გაზარდა.

იმარჯვეს სხვა რუსებმაც — მარია შარაპოვამ, დინარა საფინამ და ელენა დემენტიევამ თავიანთ მეტოქეებს, ჯამში ოდენ 12 გეიმი დაუთმეს.

უიმბლდონზე ერთგვარად სენსაციური გამარჯვების შემდეგ ტემპის დაგდებას არ აპირებს ვინუს უილიამსი, რომელმაც სან დიეგოში უკვე მეორე მეტოქე ჩამოიცილა და ეს, კვლავ ძალზე იოლად გააკეთა.

**ქალები**
ჰელსინკი. ფინეთი. ჰარდი
საპრიზო 145 000 $

**მეორე წრე**

აგნეშკა რადვანსკა (2, პოლონეთი) — მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) 6:0 6:3; ვერა დუშევინა (8, რუსეთი) — ემა ლაინი (ფინეთი) 6:3 6:3; ჯულია ჯორჯსი (გერმანია) — კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი) 0:6 6:2 7:6; ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 6:4 6:4

პატარა ფინური ტურნირის ფავორიტებად ესპანელი ანაბელ მედინა გარიგესი და პოლონელი აგნეშკა რადვანსკა ითვლებიან და ჯერჯერობით ამართლებენ კიდეც ამ სტატუსს. გარიგესმა უპრობლემოდ მოიგო სასტარტო შეხვედრა, ხოლო რადვანსკამ უკვე ორი მეტოქის დამარცხება მოასწრო და მეოთხედფინალს უწია.

**კახა ლომჯაშვილი**

# პირველი მადრიდელები

**ქალთა** საჩოგბურთო სეზონის დამაგვირგვინებელი ტურნირი, „სონი ერიქსონის ჩემპიონატი", რომელშიც წლის რვა საუკეთესო ქალმოჩოგნე მიიღებს მონაწილეობას, ექვსიდან თერთმეტი ნოემბრის ჩათვლით ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში ჩატარდება.

როგორც WTA-ტურის ოფიციალური საიტი იუწყება, მადრიდში თამაშის უფლება პირველებმა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, ბელგიელმა ჟუსტინ ენინმა და კარიერის პიკზე მყოფმა სერბმა ელენა იანკოვიჩმა მოიპოვეს.

**კახა ლომჯაშვილი**



# ასაფას ჯიბე და თვალი უბრწყინავს




**ახლოვდება** ოქროს ლიგის მეოთხე ეტაპი, რომელსაც შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი ამ სამშაბათს მასპინძლობს. ემზადებიან მძლეოსნები. უკვე გადაწყდა, რომ სტოკჰოლმში 2006 წლის ორივე საუკეთესო მძლეოსანი ირბენს — 100 მეტრის იამაიკელი მეფე ასაფა პაუელი და 400 მეტრის ამერიკელი დედოფალი სანია რიჩარდსი.

შარშან სტოკჰოლმში პაუელმა გადასარევად ირბინა. მსოფლიოს რეკორდი არ დაუმყარებია, მაგრამ სამაგიეროდ, 100 მეტრის 9,86 წამში გარბენით სტოკჰოლმის ოლიმპიური სტადიონის რეკორდი დაამყარა, რისთვისაც მისი გამოსვლით აღფრთოვანებულმა შვედმა ორგანიზატორებმა ერთკარატიანი ბრილიანტის თვალი უფეშქაშეს. იამაიკელს შეუძლია, წლეულსაც მოიგოს კიდევ ერთი კარატი, თუ თავისივე შედეგს გააუმჯობესებს. ორგანიზატორები მასაც და ყველასაც ჰპირდებიან თითო კარატს, ვინც ამ მრავლისმნახველი სტადიონის ყველა დროის საუკეთესო შედეგს აჩვენებს ამა თუ იმ სახეობაში.

„ნამდვილად არ მაწყენდა კიდევ ერთი პაწუა ბრილიანტი — ილიმის ასაფა პაუელი — შარშანდელი ყუთში მაქვს ჩაკეტილი და ხანდახან დავხედავ ხოლმე, რომ უფრო სწრაფად სირბილი მომინდეს — მერე კი სერიოზულად ამბობს — სტოკჰოლმის ძველ სტადიონზე ყველა პირობაა სწრაფი სირბილისთვის. შესანიშნავი ბილიკები, ფანტასტიკური მაყურებელი, ჩრდილოური ზაფხულის გრილი ამინდი. მოკლედ, იქ ნამდვილი სარბენი ატმოსფეროა და გულახდილად რომ გითხრათ, სამშაბათის მოლოდინში დიდი მოუთმენლობით ვცმუკავ.“

მაგრამ ერთია ცმუკვა და სურვილი და მეორე სპორტული ფორმა. წლეულს ასაფა შარშანდელივით ვერ გლეჯს არტახებს, საზარდულის ტრავმამ ოქროს ლიგის სამი აქამდელი ეტაპიდან ერთ-ერთი გამოატოვებინა კიდეც, ხოლო თუ 9,86-ის გაუმჯობესება უნდა, მან მართლა ზღაპრულად უნდა ირბინოს და საკუთარ თავს აჯობოს. 2007 წელს პაუელი სამჯერ ჩამოსცდა 10,0 წამიან ზღვარს — ბელგრადში (9,97), ოსლოში (9,94) და რომში (9,90).

პაუელი თავისთავად უკეთ ირბენს, თუ კონკურენტებიც ყოჩაღები ეყოლება და თავისდა უნებურად ისინიც აიძულებენ ფეხის აჩქარებას. კონკურენტთაგან კი ყველაზე გამორჩეულია კიდევ ერთ ფეხმალი კარიბელი, ბაჰამის კუნძულების მოქალაქე დერეკ ეტკინსი, რომელმაც წლეულს ასაფას ტრავმით ისარგებლა და რამდენიმე სოლიდური გარბენიც მოიგო. სტოკჰოლმში ასევე ირბენენ პორტუგალიელი ფრანსის ობიკველუ, პაულის თანამემამულე მაიკლ ფრატერი, ამერიკელი ლეროი დიქსონი და კიდევ ერთი-ორი რიგიანი ჯეელი. არც ერთი მათგანისთვის პრობლემას არ წარმოადგენს 10,10 წამში სირბილი და იქნებ რომელიმე 10 წამზე ნაკლებშიც გაირბინოს, რაც ასაფას ან დალუპავს, ან გააცოცხლებს.

ახლა სანია რიჩარდსზეც: 400 მეტრზე სანია, რაღა თქმა უნდა, მთავარი ფავორიტი იქნება, მაგრამ მას, ყველასდა მოულოდნელად, 100 მეტრზე სირბილიც გადაუწყვეტია, რასაც თავად ასე ხსნის — მსოფლიოს ჩემპიონატზე 200 მეტრი უნდა ვირბინო და ამ დისტანციაზე მოსამზადებლად ახლა 100 მეტრზე ვხურდებით. ძაღლის თავი კი იქაა დამარხული, რომ წლეულს — ბარემ კიდევ ერთხელ გეტყვით და — რიჩარდსმა ამერიკის შიდა ჩემპიონატზე თავისი საფირმო 400 მეტრი ყველასთვის მოულოდნელად წააგო, თანაც პირწმინდად: მხოლოდ მეოთხე ადგილზე გავიდა და, შესაბამისად, ვერ მოხვდა იმ სამ ამერიკელს შორის, რომლებიც ოსაკაში 400 მეტრზე ირბენენ.

საკუთარ თავზე გაცეცხლებული რიჩარდსი იმ დაწყევლილი წაგების შემდეგ 400 მეტრზე ყველას ერთიანად ამარცხებს და აგერ სხვა დისტანციებსაც კი შეუტია. ამბობს, 100 მეტრზე ჩემი რეკორდია 11,28 წამი, 2003 წლის შემდეგ ამაზე ჩქარა არ მირბენია და დროა, ამ მხრივაც წავიწიო წინო.

მთავარი ბრძოლა მას მაინც 400 მეტრზე ექნება. სტოკჰოლმში ჩასვლას და რიჩარდსთან გაჯიბრებას გეგმავს უკლებლივ ყველა მძლავრი 400-მეტროსანი ქალი — აშშ-ის ჩემპიონი დი დი ტროტერი (49,64 სეზონის პირადი რეკორდი) კიდევ ერთხელ ეცდება სანიას ძლევას. იქვე იქნებიან აშშ-ის მეორეადგილოსანი ნატაშა ჰასტინგსიც (49,84) და მესამეადგილოსანი მარი ვინბერგიც (50,24). თუმც სტოკჰოლმში არაამერიკელებიც ეცდებიან რიჩარდსის და მისი მტერ-მოყვარე ამერიკელი გოგონების დავაში ჩარევას. ნოვლი უილამსს (იამაიკა) წლეულს კარგი შედეგები აქვს, 49,53 წამში გაურბენია ერთი წრე. 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მომგები, სენეგალელი ამი მბაკე ტიამიც იმსახურებს ყურადღება-პატივისცემას თავისი 49,86-წამიანი შედეგით.

**კოტე ყორშია**

# ტაისონ გაის საძილე აბები

**დუნიამ** იცის, რომ ამერიკელ სპრინტერ ტაისონ გაის ასაფა პაულის ტახტის დაკავების წყურვილი ჰკლავს. 200 მეტრის ვარსკვლავმა გაიმ წლეულს 100-საც შეუტია და წარმატებითაც — ერთხელ 9,76 წამშიც კი ირბინა და 0,01 წამით აჯობა ასაფას მსოფლიო რეკორდს, მაგრამ რაკი ეს დასაშვებზე ძლიერ ზურგქარში მოხდა, რეკორდი არ ჩაეთვალა. გარდა ამისა, პაულს კი არა, გაის ეკუთვნის სეზონის საუკეთესო შედეგი 9,84 წამი. მოკლედ, ამერიკელი ცდილობს, იამაიკელის კისერზე თანდათან მოჰიმოს მარყუჟი.

მაგრამ ამერიკელს ამ ბრძოლაში ერთი დიდი პრობლემა აქვს, პრობლემა კი არა სისუსტე — გაის ეშინია პაულის! ის ყველგან და ყოველთვის თავს არიდებს მას და გაურბის გვერდით სტარტზე დადგომას. იცის, რომ ერთი წაგებაც კი შეარყევს მის პოზიციას და ამიტომ პაულს, ასე ვთქვათ, პარტიზანულ ომს უმართავს. დარბის იმ ტურნირებზე, სადაც არაა პაული და ასე ებრძვის არა თვითონ პაულს, არამედ მის შედეგს.

„ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა არც ამინდს და არც სტადიონს, ყველგან კარგად დავრბივარ და სადაც კი გამოვალ, ყველა ტურნირის მოგება შემიძლია“ — აი, ასეთი განცხადებით გამოჩნდა ის ლონდონში, სადაც გრან პრის სტატუსის მქონე მძლავრი ტურნირი უნდა გაიმართოს. ამ ტურნირზე რაღა თქმა უნდა... არ იქნება პაული. ის ხომ სტოკჰოლმში გახლავთ.

მაგრამ ადრე თუ გვიან მოხდება ის, რისიც ასე ეშინია გაის — ის და პაული ოქროს ლიგის ან გრან პრის ტურნირზე თუ არა, ოსაკას მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ მაინც დადგებიან ერთმანეთის გვერდით. ოჰ, როგორ აძგერდება მაშინ მილიონი მაყურებლის გული. თავად ეს ორნი რა დღეში იქნებიან?! წინა საღამოს რამდენ საძილე აბს გადაყლაპავენ?!

**კოტე ყორშია**





# პირველი კანდიდატი

**გუშინ** საქართველოს ხელბურთის [illegible] ასოციაციის პრეზიდენტის განთავისუფლებული თანამდებობის დაკავების სურვილი გამოთქვა ვეტერანმა ხელბურთელმა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ყოფილმა თავკაცმა ჯანო ბაგრატიონმა.

ბატონი ჯანო საქართველოში ხელბურთის ერთ-ერთი პიონერთაგანია და იმ დროისთვის პრესტიჟული საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც.

სამიოდე დღის წინ ასოციაციის პრეზიდენტ მამუკა სხიერელის გადადგომის შემდეგ ჯანო ბაგრატიონი გახდა ამ თანამდებობის დაკავების პირველი კანდიდატი.



# ფელპსმა და ლოჩტემ სახეობები გაცვალეს




**სწორედ** ახლახან ვწერდით: ამერიკელმა მოცურავე მაიკლ ფელპსმა განაცხადა, ქვეყნის ჩემპიონატზე 10 სახეობაში უნდა გამოვიდე (და მოვიგო), რათა თავი პეკინის ოლიმპიადის 8 ოქროსთვის შევამზადოო.

გუშინწინ ქალაქ ინდიანაპოლისში დაიწყო აშშ-ის შიდა ჩემპიონატი და იქ ფელპსმა პირველივე დღეს 2 ოქროს მოგება მოასწრო, რის შემდეგაც ეს 22 წლის ბიჭიზვიგენი ქვეყნის 34-გზის(!) ჩემპიონი შეიქნა.

ოთხშაბათს ფელპსმა მისთვის არატრადიციულ სახეობაში სცადა ძალა, 200 მეტრ გულაღმა ცურვაში და ყველა თანამემამულეს აჯობა, თვით რაიან ლოტჩესაც, რომელიც, ხუმრობა იქით იყოს და, მსოფლიოს რეკორდსმენად და ამ დისტანციაში მსოფლიოში მართლაც უძლიერესად ითვლება. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ფელპსი სადაც უნდა გამოვიდეს, ყველა სახეობის მოგებას შეძლებს, მთავარია, არ გადაიღალოს და არ გადაიტვირთოს.

ფელპსის მთავარი პრობლემა სწორედ გადატვირთვაა. მან 200 მეტრ გულაღმა გაცურვასთან ერთად 4X100 მეტრზე თავისუფალი ესტაფეტაც მოაგებინა მიჩიგანის შტატის გუნდს. ესეც მეორე ოქრო, მაგრამ ის ვერ შესწვდება დაგეგმილ 10 ოქროს, რაკი ერთ გაცურვაში უკვე მოეცარა ხელი. 200 მეტრ ბრასში, ნახევარფინალურ გაცურვაში, მან უარი თქვა შეჯიბრზე, რაკი წინ ჰქონდა ზემოხსენიებული ორი ფინალი — 200 მეტრი გულაღმა და 4X100 თავისუფალი ესტაფეტა.

ამგვარად 10-დან ერთი უკვე დააკლდა...

მაგრამ თავად ფელპსი უფრო იმაზე დარდობს, რომ 200 მეტრ გულაღმა გაცურვაში მსოფლიოს რეკორდთან იყო ახლოს და ზუსტად წამის მესამედი (0,33) დააკლდა. დისტანცია მან 1.54,65 დროში გალია. ამის მიუხედავადაც, ფელპსმა ფინიშთან ორ წამზე მეტით მიასწრო მეორე ადგილზე გასულ კრის დეჯონგს. თავად ლოჩტე კი, ვინაც წლეულს მარტში მელბურნის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაამყარა მსოფლიო რეკორდი (1.54,32), ახლა მხოლოდ მეოთხე იყო. მაგრამ, ფელპსის არ იყოს, ამ ლოჩტესაც აქვს თავის მართლების რეალური საბაბი: მან იმავე დღეს მოიგო უძნელესი და უსაშინლესი 400-მეტრიანი კომპლექსური გაცურვა, რომელიც ოთხივე სტილს მოიცავს და პირდაპირ ქანცს აცლის მოცურავეს. სათქმელია, რომ ფელპსი ამ სახეობაში უპირობოდ საუკეთესოა და კიდევ და კიდევ გადაღლილობის თავიდან ასაცილებლად თქვა უარი 400 მეტრ კომპლექსზე. ლოჩტემ კი მოიგო და გამოვიდა, რომ ამ ორმა უფარფლებო თევზმა ერთმანეთს აცალა თავიანთ სახეობაში გამარჯვება...

სხვათაგან კი აუცილებლად ხსენების ღირსია, არც მეტი არც ნაკლები, 40 წლის დანა ტორესი. ამ ქალს შვილები ჰყავს და მაინც სჯობნის ახალგაზრდებს. ახლა ტორესმა უპრესტიჟულესი 100 მეტრი თავისუფალი სტილით გაცურვა მოიგო და მოხვდა ქვეყნის ნაკრებში, რაც, შესაბამისად, ოლიმპიადის საგზურის მოპოვებასაც ნიშნავს. თუ ტორესს პეკინში გამოსვლაში ხელი არაფერმა შეუშალა, ეს მისთვის მეხუთე ოლიმპიადა იქნება, რაც ცურვაში მართლაც გმირობას ნიშნავს.

„მე ვფიქრობდი, რომ ასეთ დონეზე ცურვას ველარასდროს შევძლებდი, მაგრამ მერე ერთ რამეს მივხვდი: არ შეიძლება, ოცნებები ასაკის გამო ჩაამუქრო — ამბობს მისის ტორესი — შენი საქმე ყოველთვის მონდომებით უნდა აკეთო და მაშინ არც ის გრძნობა გახუნდება, რომელსაც ახლა მე განვიცდი.“

**კოტე ყორშია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისევ გოლფი

ჯეელ არგენტინელ მეგოლფე ანხელ კაბრერას ევროპული ტურის თვის მოთამაშის ჯილდო შეხვდა. მშვენიერი მოვერცხლილი სასალათეა, თან მამიკოც იქვეა, ანხელ კაბრერა-უფროსი.




AFP




AFP

# ლოგინში მირთმეული გოლფი

ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, ზრდილობიანი მიმტანის მიერ დილით ლოგინში მირთმეული ჩაი თავისი ბუტერბროდებით და აივნიდან გადაშლილი ხედი „ოლდ ქორს ჰოტელის" სტუმრები პირდაპირ აქედან გასცქერიან გოლფის მწვანობებზე მოფუსფუსე ხალხს. შოტლანდიურ რიკოში ხომ ქალთა „ბრიტიშ ოუფენი" ხურს.

# აერობატიკა

შეჯიბრი აერობატიკაშიც შეიძლება და ჰა, დასტურიც: ბუდაპეშტში უნგრეთის პარლამენტის შენობას გარშემო სულის შემხუთავი ილეთების შესრულებით უზუზუნებს „რედ ბულის" გიჟმაჟი უნგრელი პილოტი პეტერ ბეშენეი.



AFP

# კალიფორნიული დერბი




AFP

ამერიკელები ოღონდ ბეისბოლზე ალაპარაკე და მეტი არც არაფერი უნდათ ერთი პარკი პოპკორნის გარდა. ჩვენ კი ბევრსაც ვერას მოგახსენებთ: კალიფორნიულ დერბიში ერთმანეთს ხვდებიან „სან ფრანცისკო ჯაიანთსი" და „ლოს ანჯელეს დოჯერსი" და პიტჩერქეთჩერებს მტერის ბული დაუყენებიათ ლოსანჯელესურ სტადიონზე.

# პეკინში მაოს აჩრდილი დადის

„ისეთი ოლიმპიადი უნდა დავდგათ, ქვეყნიერება გადავრიოთ!" — ეს ლოზუნგიცაა და ბრძანებაც. ერთი წლის შემდეგ პეკინზე პლანეტის უძლიერეს სპორტსმენთა ათასეულები გაილაშქრებენ და ჩინთა დედაქალაქიც გამალებით ემზადება. იქვე დადის დიდი მაოს აჩრდილიც.



AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჭორჭოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ზომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge